ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 27 (96) 11 აგვისტო 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

სამარცხვინო პროვოკაციის წლისთავი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთ-საქართველოს ომად მოინათლა.

2

ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4



გაზეთი "ილორი" აბრძოლებს ფერილების ციკლის ბეჭდვას, ამჯერად უკვე მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელებზე 12

მარიჩა

5 მრგვალი მაგიდა

2008 წლის აგვისტო — ქართული სახელმწიფოებრიობის ტრაგედია

ნიველირება — აი, პირველი რის სიყვარულიც მას უსწავლია!

7

დრო მიდისო, რომ ამბობენ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია!

3

დავით შოთაძე

გერმანია ქალაქი კოზლენცი

სამეგრელოს საამაყო შვილები 11

ამბროსი ხელაია

გიგი ელიავა

რა იცი სამეგრელოზე?

8

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს! 6

ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"



9

8

სააკაშვილების და მერაბიშვილის საოჯახო ბიზნესი საწვავის ღირებულებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აწესებს

სამარცხვინო პროვოკაციის წლისთავი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთ-საქართველოს ომად მოინათლა.

ერთი წელი გავიდა აგვისტოს მოვლენებიდან, რომელსაც უამრავი უდანაშაულო ჯარისკაცისა თუ მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. დაინგრა ქალაქი გორი და სხვა დასახლებული პუნქტები, დამატებით დაიკარგა ტერიტორიები, შეილახა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი და ყოველი ეს უბედურება საქართველოს ხელისუფლებამ უტიფრად მონათლა **"დიდ გამარჯვებად"**. უნებურად მებადება შეკითხვა: თუ ეს გამარჯვებაა, მაშინ დამარცხება რა უნდა იყოს? მაგრამ, თუ სახელისუფლებო პოზიციიდან შევხედავთ ამ უბედურებას, მაშინ ხელისუფლებამ მართლაც გაიმარჯვა, ოღონდ საკუთარ ხალხზე, რადგან ამგვარი სამარცხვინო კრახის შემდეგ, რაც საქართველომ საკუთარ თავზე გამოსცადა მისი ხელისუფლების მიერ წამოწყებული პროვოკაციით, ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფოს ნორმალური მმართველი ძალა, უბრალოდ, გულწრფელად დიდ ბოდიშს მოუხდიდა საზოგადოებას და გადადგებოდა. მაგრამ მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა რომ გადადგეს, მაშინ ვინ განახორციელებს ამერიკელ მასონთა მიერ ჩაფიქრებულ საქართველოს დაშლის პროგრამას?

ხელისუფლებისაგან კონტროლირებადი ქართული მასმედიის მიერ გაჩაღებული ტენდენციური პიარის წყალობით თითოეული ქართველის გონება და განცდა დღეს იმით არის დამძიმებული, რომ ლამის ხაზი გადაესვას საქართველოსა და რუსეთის მრავალსაუკუნოვან მეგობრობასა და თანადგომას და მთელი მსოფლიოს თვალში ჩვენ უკვე ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად მოვიაზრებით. მოსწრებულად თქვა ერთ-ერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა: **"ჰიტლერს რომ ტელეარხი "რუსთავი-2" ჰქონოდა, მსოფლიოს დღესაც არ ეცოდინებოდა, რომ მან ომი წააგო"**. სწორედ ეს ტენდენციური ტელეარხი ცდილობს დღეს საქართველოს ავტორიტეტშელახული ხელისუფლების იმიჯის შელამაზებას. საამისოდ კი მათთვის სხვა გზა არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ყველა ის უბედურება, რაც საქართველოში მიხეილ სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ დაატრიალა სწორედ რუსებს გადააბრალოს. ტრიალებს ეს უბადრუკი პიარმანქანა და დღედაღამ მოყვასის მიმართ ზიზღსა და სიძულვილს სთესავს. ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში სდებენ ბრალს რუსებს, განსაკუთრებით, საქართველო-აფხაზეთის დამაკავშირებელი გზების გადაკეტვაში. მაგრამ, კრინტს არ ძრავენ იმ ამაზრზენ ინფორმაციაზე, რომელიც რედაქციას ერთ-ერთმა წყარომ მოაწოდა – ენგურს გაღმა პროდუქტების გატანაზე საქართველოს ხელისუფლებას დაწესებული აქვს საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯარიმა. ახლა, თავად მკითხველმა განსაჯოს, ვინ კეტავს საქართველო-აფხაზეთის დამაკავშირებელ გზას, რუსი თუ ჩვენი ვითომ ქართველი ხელისუფალი?

მაგრამ, მათთვის მთავარია ზიზღისა და შფოთის თესვა!

ვის აძლევს ხელს ურთიერთობათა ამგვარი გამწვავება? რა თქმა უნდა იმ ძალებს, რომლებიც დაინტერესებული არიან რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი კონფლიქტის წარმოქმნით, რათა შემდეგ მიითვისონ საქართველოს ტერიტორიები ან სხვა სარფით მოითბონ ხელი. ამგვარ ძალად დღეს მოიაზრებიან სომხები და ეთნიკურად სომეხი მიხეილ სააკაშვილი. სავსებით სამართლიანად აღნიშნა თავის პუბლიცისტურ წერილში ცნობილმა ქართველმა პოლიტოლოგმა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლა მძიმე დარტყმა იქნება სომხური ლობისათვის. ეს ლობი კი განსაკუთრებით ძლიერია რუსეთში და სწორედ ისინი, სააკაშვილთან შეთანხმებით თანდათან სისხლისაგან ცლიან საქართველოს, უკარგავენ ტერიტორიებს, ყოველდღიურად ახალ საფრთხეს უმზადებენ ქართველ ხალხს.

იმის თაობაზე, რომ 2008 წლის აგვისტოში სწორედ საქართველომ დაიწყო ომი, პირველად ინფორმაცია გააჟღერა ტელეარხ **"რუსთავი-2"**-ს ყოფილმა მფლობელმა და საქართველოს ყოფილმა ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ეროსი კიწმარიშვილმა, რომელიც დასაკითხად გამოიძახეს სასაცილოდ ქცეულ ე.წ. **"დავითაიას კომისიაში"**, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი საქციელის გასამართლებლად შეაკოწიწა და სათავეში ჩაუყენა ვითომ ოპოზიციონერი პარლამენტარი, ჩვენს მიერ **"კაჟა ბულავად"** მონათლული პაატა დავითაია. კომისიის სხდომაზე კიწმარიშვილმა დააკონკრეტა თავისი ბრალდებები და ამ პროვოკაციის ინიციატორად, კონკრეტული ფაქტების მოხმობით, საქართველოს ხელისუფლება დაასახელა, რასაც დიდი მღელვარება და არაადექვატური საქციელი მოჰყვა სააკაშვილის მხარდამჭერი კომისიის წევრებისაგან. კერძოდ, პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ ჯერ კალმისტარი ესროლა კიწმარიშვილს, შემდეგ კი კარგა მსუყე სიტყვებით აგინა დედა.

ასეც ხდება, როცა სიმართლე მსუსხავი და ზურგის ამწველია!

სწორედ მაშინ გაჩნდა პირველი სერიოზული ეჭვი, რომ საქართველოს არაქართველმა ხელისუფალმა სპეციალურად წამოიწყო ეს ბინძური პროვოკაცია, რათა აფხაზი და ოსი სეპარატისტებისათვის დამატებითი ტერიტორია გადაეცათ და, რაც მთავარია, **"დე იურედ"** ექციათ ის მწარე სინამდვილე, რაც წლების განმავლობაში **"დე ფაქტოდ"** იყო აღიარებული. რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებით საქართველომ საბოლოოდ დაჰკარგა კონტროლი სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე და ამით სომხებს აუხდინა **"დიდი სომხეთის"** შექმნის მრავალსაუკუნოვანი ოცნება, რომელთა საეკლესიო წინამძღოლი ვაზგენი და სხვა სომხები მილიონებს ხარჯავდნენ შავი ზღვის სანაპიროზე სომხების ჩასასახლებლად. ახლა კი, სომეხი სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ სომხებს შავ ზღვაზე გასასვლელი მისცეს და ამისათვის ჯავახეთისა და აჭარის ტერიტორიებიც კი არ ენანება. სამწუხაროა არა მხოლოდ სააკაშვილისა და მისი არაქართული დანაშაულებრივი გარემოცვის მოღალატეობრივი საქციელი, არამედ ისიც, რომ ქართველი ერის მშვიდად უცქერის იმას, თუ როგორ ნაჭერ-ნაჭერ ეცლება საქართველო ხელიდან.

მოდით, დავუჯეროთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ აგვისტოში ომი ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსებმა წამოიწყეს. მაშინ, ავტომატურად ჩნდება ერთი შეკითხვა: რას აკეთებდნენ 7 აგვისტოს დილას ცხინვალის ცენტრში იარაღასხმული ქართველი ჯარისკაცები და ვისი ბრძანებით მოხვდნენ ისინი იქ?

ხელისუფლების მიერ ანგაჟირებული ქართული ტელეარხები დუმორეულები უმტკიცებენ დიდსა და პატარას, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. მაგრამ ოკუპაცია ხომ რამდენიმე სახის არსებობს. მათ შორის ყველაზე საზიზღარი და ამაზრზენია ფინანსიური ოკუპაცია, ის, რითაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს, უფრო სწორად საქართველოს ხელისუფლების ოკუპირება მოახდინეს, რადგან იქიდან შემოდინებული მილიარდების უმეტესი ნაწილი სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიჯიბა. დიახაც რომ ამ მილიარდებს იცავს დღეს ამერიკა და არა საქართველოს ინტერესებს, იცავს იმას, რაც დახარჯა და რასაც მომავალში დაახარჯავს ამიერკავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთისათვის რაც შეიძლება მეტი ზიანის მისაყენებლად.

რამდენიმე დღის წინ საქართველოში დატრიალდა საშინელი ტრაგედია – დუშეთის რაიონში, სამაჩაბლოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე აფეთქდა ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ საქართველოს მოქალაქე, ამავე რაიონის მცხოვრები გიორგი გიგაური და მისი ორი მცირეწლოვანი შვილი. მამა მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა, ბავშვები კი, რომელთაც ქირურგიული ჩარევის შედეგად უამრავი ნამსხვრევი ამოუღეს სხეულიდან, სასწაულებრივად გადარჩნენ და მათ სიცოცხლეს უკვე საფრთხე აღარ ემუქრება. ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა ტელეარხებმა ხელი წამსვე რუსეთისაკენ გაიშვირეს და ერთხმად შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ მანქანა რუსი ჯარისკაცების მიერ დამონტაჟებულ ნაღმზე აფეთქდაო. დაიწყო გამოძიება, საქმეში საერთაშორისო დამკვირვებლებიც ჩაერთვნენ, და როგორც იტყვიან, **"შუბი ხალთაში ვეღარ დაიმალა"**. გაირკვა, რომ გზაზე არავითარი ნაღმი არ ყოფილა დამონტაჟებული. ტელეარხებმა მაშინვე შეცვალეს ვერსია და ერთხმად აყაყანდნენ, რომ ალბათ მანქანა ტექნიკურად გაუმართავი იყო და ამიტომაც აფეთქდაო.

ღიმილისმომგვრელი ვერსიაა, სახეზე ტრაგედია რომ არ გვქონდეს. იმან, ვისაც ოდესმე მანქანასთან საქმე ჰქონია, კარგად იცის, რომ მანქანა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება აფეთქდეს, თუ მასზე აირის ბალონია ცუდად დამონტაჟებული, ან თუ დიზელის ძრავიან მანქანას უკნიდან ისე ძლიერად დაჯახება სხვა მანქანა, რომ საწვავის ავზს დაუჭეჭყავს, რა დროსაც ვითარდება მაღალი წნევა და სოლიარი ფეთქდება. მაგრამ, ამ შემთხვევებშიც კი, მანქანა კი არ აფეთქდება, არამედ ხანძარი გაუჩნდება. მაშ საიდან უნდა გაჩენილიყო მეტალის ნამსხვრევები, რომელმაც შეიწირა მამა და მრავალი ჭრილობა მიაყენა ბავშვებს? ამაზე პასუხის გასაცემად ტელეარხებს თავი არ შეუწუხებიათ. არა და, სწორედ ეს გვაძლევს დაეჭვების უფლებას – ხომ არ ამზადებდა ქართული მხარე მორიგ პროვოკაციას, რომლის განხორციელება გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო ვერ მოხერხდა? რატომ არ ქვეყნდება დღემდე გამოძიების მასალები?

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ამ ფაქტზე ჩატარებული გამოძიების შედეგები აცნობოს საზოგადოებას! მაგრამ ამის იმედი ნუ გვექნება, რადგან ხელისუფლება იმ ფაქტებს არავის გამოააშკარავებინებს, რაც მის დანაშაულს დაადასტურებს. განა ცოტა მკვლელობა ჩაიდინეს მათ, რომლის გამოძიებისათვის თავი დიდად არ შეუწუხებიათ?

დიდმა და პატარამ, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ომი დამთავრდა, მაგრამ პროვოკაციები მაინც გრძელდება. საქართველო, რომელიც დღეს მძაფრი პოლიტიკური ბატალიების არენად არის ქცეული, შეიძლება მსოფლიო კატასტროფის ცენტრად იქცეს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ამ ბატალიების მიზეზია არა საქართველო, არამედ მსოფლიოს მძლავრი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება (არ ვიცით, ეს ჩვენს ბედნიერებად ჩავთვალოთ, თუ უბედურებად, რადგან საქართველოს გეოსტრატეგიული სივრცე ისტორიულად ყოველთვის გახლდათ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებს შორის სასტიკი ომების გამართვის მიზეზი).

ამიტომ, ახლა საქართველოს მოსახლეობას დიდი ძალისხმევა და მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება სჭირდება ხელისუფლების მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯზე, რათა მან კვლავ არ გაიმეოროს 2008 წლის მსგავსი პროვოკაცია, რამაც შეიძლება დაგვაკარგინოს არა მხოლოდ დამატებითი ტერიტორიები, არამედ სუვერენიტეტიც!

ციტატა შეხსენება

"ნატოში გაწევრიანების შესახებ მრავალწლიანი ლაქლაქით ჩვენ საფუძველშივე გავიფუჭეთ რუსეთთან ურთიერთობა, სრულიად გავყინეთ კონფლიქტების დარეგულირების პროცესი, დავკარგეთ ერთადერთი მასშტაბური ბაზარი ჩვენი პროდუქციისათვის, მაგრამ ნატოში მაინც არ გვიღებენ და არც მიგვიღებენ კიდევ დიდ ხანს. გამოდის, რომ ქვეყანა რეალურ სინამდვილეს მსხვერპლად სწირავს პოლიტიკოსების ფანტაზიებს. სრული აბსურდია!..

...ომის შემდგომ პერიოდშიც საქართველოს ხელისუფლებას არ გადაუდგამს რეალური ნაბიჯები ურთიერთობათა ნორმალიზებისათვის. პირიქით, ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება ისე, თითქოს აფხაზეთის მოკვეთა ჩვენი პოლიტიკოსების ფარულ მიზანს წარმოადგენს...

...შემდგარ სახელმწიფოს რამდენიმე მახასიათებელი აქვს, რომელთაგან უმთავრესია ცენტრალური ხელისუფლების უნარი, გააკონტროლოს ქვეყნის მთელი ტერიტორია. უკვე ამ ნიშნით ლაპარაკი საქართველოზე, როგორც შემდგარ სახელმწიფოზე, არ შეიძლება. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სხვა მახასიათებლებითაც – დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ეროვნული მოდელის არსებობა. ფორმალური დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო ვერ იქცა საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტად. სასაცილოა: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხებს არა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, არამედ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტთან აგვარებს. რაც შეეხება ეკონომიკის ეროვნულ მოდელს, მთავრობა, პრემიერ-მინისტრის გამოსვლებით თუ ვისმჯელებთ, ვერც კი ხვდება, ეს რა არის...

...ვფიქრობ, სააკაშვილი თავისი ხალხის ინტერესებს არ უდალატებს და სამხედრო ავანტიურაზე არ წავა, რადგან ეს კატასტროფა იქნება როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ისე ქართველი ერისათვის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენისთვის...

ალექსანდრე ჭაჭია,
ნაწყვეტები 2008 წლის აპრილის ინტერვიუდან.

დრო მიდისო, რომ ამბობენ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია!

წლიწადი, რომელმაც უბედურება და სირცხვილი ერთდროულად დაგვატეხა თავს!

წელიწადი, რომელმაც სამშობლოს კიდევ ერთი, დიდი ნაწილი დაგვიკარგა სამუდამოდ!

წელიწადი, რომელმაც უამრავი უსახელო საფლავი და ქვრივ-ობოლი გაგვიჩინა!

წელიწადი, რომელმაც ახალი, ათასობით უსახლკარო მოგვიმრავლა „ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე“ – ჩვენი სამშობლო, საქართველო რომ ჰქვია!

წელიწადი, რომელმაც ის მცირე იმედიც გაგვიქრო, გამარჯვებასთან რომ გვაკავშირებდა!

და ბოლოს, დაგვიტოვა ყველაზე მძიმე და გაუგებარი კითხვა:

– **ჩვენ გავიმარჯვეთ?!.**

ამიხსენით, რას ჰქვია ბატონებო თქვენი ქართულით გამარჯვება?!.

...ნუთუ იმდენი დრო გავიდა, რაც ჩვენ სამშობლო დავტოვეთ, დაგვავიწყდა რას ნიშნავს გამარჯვება ჩვენს მშობლიურ ენაზე?

მართალია, ჩვენი პრეზიდენტი და მისი მთავრობა გვიკიჟინებს – **„საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყებაო!„** ვთქვათ და დავიჯერეთ ეს სისულელე, მანამდე არც გვიარსებია და ცხადია არც გვიომია და ისიც ცხადია, არც გამარჯვება ვიცით რას ნიშნავს, მაგრამ წიგნებში წაკითხულს და სკოლაში ნასწავლს რა ვუყოთ?

...დიდგორი, შამქორი, ბასიანი, ტაშისკარი... ქართველებმა მოიგესო, მოხდაო **„ძლევაი საკვირველი!..“ „კუდით ქვა ასროლინაო გიორგი სააკაძემ ყირიმელ თათრებს!..“**

ამიხსენით რა მოხდა ზემოთნახსენები ომების მოგების შემდგომ – უსახლკაროდ დაგვირჩნენ ქართველები, ტერიტორიები დაკარგეს თუ **„შემოიმკვიდრეს ადრე წართმეული და ახალი მიწები... აურაცხელი ოქრო-ვერცხლით დაუბრუნდნენ დედა სამშობლოს!..“** როგორც მეისტორიე გადმოგვცემს?!.

იქნებ, ვერ შევნიშნეთ და გადაფასდა ყველაფერი ჩვენს სამშობლოში, ვიდრე ჩვენ უცხოეთში ვიმყოფებით?

იქნებ:

გამარჯვება – **სამშობლოს დიდი ნაწილის დაკარგვას!**

ღირსება – **თავზე ლაფის დასხმას ნიშნავს?!.** და გაამერიკელებული საქართველოს პრეზიდენტის და მისი დღევანდელი მთავრობის საზომით **(ჩვენთან, ევროპაში იმას, რაც შარშან აგვისტოს საქართველოში მოხდა, სირცხვილი და თავისმოჭრა ჰქვია... ევროპელებს, არც მარცხი ესწავლებათ და არც დამარცხებულის დაფასება, მაგრამ ის, რაც საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარ ხალხს და ქვეყანას დამართა, მათთვის დღემდე გაუგონარი და გაუგებარია!..)** სამშობლოს დაკარგვა, თავზე ლაფის დასხმა – **გამარჯვება და ღირსებაა?!.**

თუ ეს ასე არ არის, რა ახარებს მაშინ უმიზეზოდ მომდიმარ სააკაშვილს და მის ავადმყოფ გარემოცვას?

ნუთუ ქვეყანაში პასუხის მომკითხავი აღარავინ დარჩა, არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, აღარც ერი ერობს და აღარც ბერი ბერობს?

გავიხსენოთ კონსტანტინეს **„დიდოსტატის მარჯვენა“ –** ქვეყნის ღალატს ვინ აკადრებდა, სამშობლოს მტერთა რისხვას **„სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფეს“** მაგრამ, ზოგჯერ, მეფისთვის **„უკადრისი“** საქციელის (დიაცთსიყვარულის) გამო, **„ბასილი კეისრის წინააღმდეგ ხმალდახმალ მებრძოლ“** მეფე გიორგის, ერთადერთი ვისიც ეშინოდა – **მელქისედეკ კათალიკოსი იყო, მუდამ შიშმორეული რომ ეკრძალვოდა მასთან შეხვედრას!..**

...მართალია შორს ვიმყოფებით სამშობლოსგან, მაგრამ თვალებს ვერ დავივსებთ, კარგად ვხედავთ – არც ერს და არც ბერს ერიდება ჩვენი **„უღვთო პრეზიდენტი!..“** უწმინდესის და უნეტარესის ყოველი ცდა – **„იქნებ გონს მოეგოს სატანის მიერ შეცდენილიო!..“** მუდამ გაუგონარი უტიფრობით მთავრდება და იმის ნაცვლად რომ მოინანიოს, იყუჩოს, მადლობა უთხრას უფალს, უწმინდესს და უნეტარესს, ქართველ ერს – შენდობისათვის, ყოველი მისი გამოჩენა სამების ტაძარში ნაცმოძრაობის მიტინგად იქცევა და შიშით გული გვისკდება – **საკურთხეველში არ შევარდეს და მრავალსაუკუნოვანი სიწმინდეები არ წაბილწოს!..**

იქნებ, თქვენ მიეჩვიეთ ყოველივე ამას, თქვენ, ჩემო თანამემამულეებო და არც აქცევთ ყურადღებას?!.

ნორმალურ ქვეყნებში, სახელმწიფოს პირველი პირის საქციელი, ქვეყნის და მისი ხალხის სახედ ითვლება!.. თვით საქართველოს **„პირველი ლედის“** სამშობლოში – **სადაც არად დაგიდევენ ქრისტიანულ ტრადიციებს, ეკლესია-მონასტრების დიდი უმრავლესობა საცხოვრებელ და ფრიად საეჭვო დანიშნულების დაწესებულებებად გაიყიდა, ქალის–ქალზე და კაცის–კაცზე ქორწინება რომ არავის უკვირს და ეხამუშება,** არავინ აპატიებს ქვეყნის პირველ პირს, ცხრა მთას იქიდან ჩამოყვანილ მეძავ-მასაჟისტთან (აღარაფერს ვამბობთ ადგილობრივ **„კადრებზე“**, ყოველგვარი ფუნქციის გარეშე რომ უზის თურმე კანცელარიაში და საქართველოს პროვინციებში გასეირნებისას **„სექსუალურ სამშვენისებად“** დაასეირნებს!..) გამართული ორგიებით გამოწვეულ ოჯახის და ქვეყნის შეურაცხყოფას!..

თბილისში კი, ავი ხმები მომიყვნენ **„მიშისტები“** პირიქით, ტრაბახობენო ამ აღვირახსნილობის გამო – **„ნახეთ, რა მაგარი პრეზიდენტი გვყავსო!..“**

სამწუხაროა, რომ ყალბი წარმოდგენა აქვთ საქართველოში **„თანამედროვე ევროპულ ღირებულებებზე“**, იგი უმეტესწილად აღვირახსნილობის, უზნეობის და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების უარყოფის ლეგალიზებად ცხადდება, რასაც, ცხადია, საგანგებო ინვესტიციები არ ჭირდება და სწრაფად და მასიურად ხდება მისი კულტივირება დღევანდელ **„საგანგებოდ შემზადებულ, ნოყიერ ქართულ ნიადაგში“**.

აქ კი, მართლა გვაქვს გაუგონარი წინსვლა!

...მე **“ნახალოვკაში“** დავიბადე და გავიზარდე. ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, რაც კი გამოიარა ჩემმა ქვეყანამ და ქალაქმა ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში მეც ვნახე და გამოვცადე და თქვენ წარმოიდგინეთ, ვინ რითი უნდა გააკვირვოს ჩემი თაობა, მაგრამ ნუ იკითხავთ და კიდევ ბევრი რამ ყოფილა თურმე, პირს რომ დაგაღებინებს... და ჩემგან მოულოდნელად ასეთი, ჩემი, ნახალოვკის, ბავშვობის დროინდელი სიმღერა აღმოჩნდა:

„ვინ არ იცნობს ნახალოვკელ ტასოს,
ტრაკზე დიდი „ნაკოლკები“ აქვსო!..“

ბოდიშს არ ვიხდი ლექსში ერთი სასირცხვო (თუმცა, სასირცხვო იგი ჩემი ბავშვობისას იყო, თორემ დღეს?!.) სიტყვის ხსენების გამო. ჩემი ბიჭობისას ერთი ნახალოვკელი **„ნაკოლკიანი“** (თუმცა, ძალიან ცოტა ვინმეს თუ უნახავს მისი **„ნაკოლკა“** და ის ადგილი, სადაც იგი ეხატა) **ტასო** დადიოდა და ამის გამო მას სიმღერა დაუწერეს. დღეს კი ათასობით ტასო დადის თბილისის ქუჩებში არანაკლებსასირცხვო ადგილებმოხატული, რომელსაც არამც თუ მალავს, **„სიამაყით გამოუფენს“** ხოლმე გამვლელ გამომვლელს!..

შეიძლება ვინმე შემეკამათოს – **თქვენ ერთი ტასო გყავდათ, ამდენი ტასოსთვის ვიღას სცალია, ამდენ ლექსებს ვინღა დაწერსო!..** მართალიც იქნება!.. და ბოდიშს ვიხდი ცოტაოდენი გადახვევისთვის.

წინა წერილში ვახსენე – **კარგი ცხოვრების ძიების გამო არ დაგვიტოვია ჩვენ სამშობლო – ჩვენ სამშობლოწართმეულები ვართ!** აქვე დავამატებ – **არც სხვის ქვეყანაში გვიცდია ახალი სამშობლოს ძებნა!**

ამიტომაც ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, კარგიც და ცუდიც, ჩვენთვის ათმაგად მტკივნეულად აღიქმება!

უცხოობაში ჩვენთვის ათჯერ უფრო სწრაფად გარბის დრო, ვიდრე თქვენთან – **დედა სამშობლოში!**

„დრო მიდისო, რომ ამბობენ,
ჯანდაბამდე გზა ჰქონია!“

– კი თქვა ბატონმა მიხეილ ქვლივიძემ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო!.. სულცხონებული პოეტი ვერაფრით წარმოიდგენდა **„ჯანდაბა“** ასე ახლოს თუ იქნებოდა მის მართლაც **„ბედკრულ“** სამშობლოსთან!..

დღეს დრო სწორედ **„ჯანდაბისკენ“** მიგვაქანებს ყველას, დიდს და პატარას, სამშობლოში დარჩენილებს და სამშობლოდაკარგულებს – რომლებსაც დრო უფრო გვაშორებს „ჯანდაბის“ **პირას მდგარი სამშობლოსგან...**

თითქმის ათი წელი ველოდე საქართველოში დაბრუნებას და ბედის დაცინვა იყო ალბათ – სწორედ მაშინ მომიწია ჩამოსვლამ, დაუნდობლად რომ იბომბებოდა მისი ყველა კუთხე-კუნჭული! გასახარი რა მქონდა, ქვეყანა ინგრეოდა... გულში სიხარულისმაგვარმა მაინც გამიელვა – ვიფიქრე, ხომ არ დადგა ჩემი ჯერი სამშობლო დავიცვა მეთქი, მაგრამ მეორე დილასვე დამენგრა **„ცოტნეობის“** ოცნება, ვერ ავედი **„კოხტასთავს“** ჩემიანებთან – რადგან, თურმე არც **„ლაშქარი და მისი სარდალი გვყავდა ცოტნეს დონისა და არც მტერი, ცოტნეს რომ ეკადრებოდა!..“**

...ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, ჩემს გერმანელ მეუღლესთან ერთად, მისი ქვეყნის საელჩომ თითქმის ძალით გაგვარიდა ჩემს სამშობლოს, რომელიც **„ძალზე საეჭვოდ იწვოდა და იბომბებოდა...“** უამრავი ქართველი გარბოდა საზღვარგარეთ, რომელთაც არც შვილები და შვილიშვილები ელოდნენ იქ, არც უცხო ქვეყნის კანონი ავალდებულებდა გაცლოდა აქაურობას.

გარკვეეთ ჩანდა – ქვეყანას მისი გამყიდველი პრეზიდენტის და მთავრობის გარემოცვა ტოვებდა, რაც მრავალთაგან დადასტურდა კიდეც მოგვიანებით...

...ვაი ჩვენს ბედს, არც საკუთარ, არც სხვის სამშობლოში გვიდგას დალხენილი დღე!

გასაკვირს რა გამოლევს ჩემი ჯიშის თვალსაწიერში, მეც ხომ ის ქართველი ვარ, რომელიც ყველგან იოლად გაძრომას ცდილობს, თორემ სირცხვილით უნდა ვიწვოდე, სხვის წინაშე თუ არა, საკუთარი თავის წინაშე მაინც!..

თქვენსავით, ბევრჯერ ვერც მე ვთქვი სიმართლე... მომერიდა, თვალი დავხუჭე, შემეცოდა, ვიფიქრე თვითონვე მიხვდება და გამოსწორდება მეთქი!.. ბოლოს მივეჩვიე თვალის დახუჭვას და უამრავი უმსგავსობა ყოველდღიურ მოვლენად იქცა, რომელიც თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ თქვენც ნუ მომიკვდებით, სულაც არ ყოფილა ასე საქმე. თურმე დიდხანს უნდა მოსცილდე სამშობლოს, ახლობლებს, შენიანებს, მტერს და მოყვარეს და მხოლოდ მერე დაინახავ ნათლად თეთრს და შავს, ნათელს და ბნელს, რომელსაც მიჩვეული ხარ და შენი ცხოვრების ყოველდღიურ ნაწილად მიგაჩნია.

ვერ გადაეჩვია ჩემი ჯიში და ჯილაგი, ჩემი ქართველობა ქურდობას და ყაჩაღობას!

ვერ გადაეჩვია ჩემი ხალხი ყაჩაღის, ქურდის, მოძალადის, ქვეყნის დამაქცევარის პატივისცემას!

ვერ მიეჩვია ჩემი ხალხი სიმართლის პირში თქმას!

და ყველაზე საშინელი, როგორც ვასილ ველიჩკო ამბობს თავის გენიალურ **„კავკასიაში“ – „...თუ განსასჯელი ჩემი ნათესავია, იგი არ შეიძლება დამნაშავე იყოს, რადგან ის ჩემი ნათესავია!..“**

და კიდევ უამრავი რამ, რომლის გამოც გულდამწვარი წამოვედი საქართველოდან!..

წელიწადი გავიდა მას შემდეგ. დღეს არ ვაცდენთ საქართველოდან ახალი ინფორმაციები არ მოვისმინოთ და არ წავიკითხოთ. **„ილორმა“** რომ იტყვიან სულზე მოგვისწრო. როგორც ადრე გწერდით, ჩემთვის თქვენი გაზეთი იმიტომაცაა განსაკუთრებით მისაღები, რომ იგი არ იხრება საგანგებოდ რომელიმე მხარეს, იქ ანალიზი უფრო მეტია, ვიდრე ახალი, სენსაციური ამბები. თითქმის ყველა ქართული გაზეთი ამ მხრივ ერთმანეთს ჰგავს და ამიტომაც გადავწყვიტე თქვენ გაგიზიაროთ ის, რაც ყველაზე მეტად გვაწუხებს საქართველოდან დიდი ხნის წინ იძულებით წამოსულებს, რომლებიც საშოვარს არ გამოვყოლივართ უცხოეთში.

ზემოთ ვახსენე, ადამიანი ყოველგვარ გასაჭირს ეჩვევა და საბოლოოდ იგი მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება. ჩვენ, უცხოეთში გადმოხვეწილთა დიდი ნაწილი ვცდილობთ, რასაც კარგს და საინტერესოს ვხვდებით სხვის სამშობლოში, ქართულთან საერთო მოვუძებნოთ, ის რაც ჩვენ გვაქვს ჩატანილი უცხოეთში სახელოვნად წარმოვაჩინოთ და ასე გავიიოლოთ სამშობლოსგან სიშორე, მაგრამ არის უამრავი საკითხი, რასაც ჩვენ ვერაფრით ვუშველით და ეს არის სიცრუე, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ღაღადებს საქართველოს პრეზიდენტი, მისი მთავრობა და მხარდამჭერები!..

პირველ რიგში ეს არის – **შარშანდელი აგვისტოს, სამარცხვინოდ წარმართული და წაგებული ომი. ომი, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და სამუდამოდ დავკარგეთ ძირძველი ქართული ტერიტორიები!**

სამარცხვინოა და გაუგონარია ქართული სინამდვილისათვის – ომში დაღუპულთა მხოლოდ ცალ მხარეს დათვლა და ამის ფონზე სამაჩაბლოს ქვეყნის განუყოფელ ნაწილად გამოცხადება!

სამარცხვინოა ის, რომ არავის უგლოვია ერთი რეგვნის ხუშტურებს შეწირული ასეულობით ადამიანი და საზეიმო აღლუმი გავმართეთ საზღვარს შიგნით და საზღვარგარეთ, რასაც დღესაც აგრძელებს საქართველოს პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება.

შეწირულთა სულებმა გვაპატიოს უცხოეთში გადახვეწილებს, თუ ყოველთვის ვერ ვახერხებთ მათ მოსახსენიებლად სანთლების ანთებას, იგი ჩვენს გულებში ანთია და არასოდეს ჩაქრება!

სანთლები ვახსენე და ამ სტრიქონებს რომ ვწერ, თითქოს, სამშობლოში ყოფნისას ყველაზე ხშირად ნახსენები და გაგონილი – **„ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ღმერთი არ გაგვწირავს!“** ჩამესმა. ჩვენც ამ რწმენით ვართ და სხვანაირად არც არასოდეს გვიცხოვრია, მაგრამ უცხოობაში, ერთხელ უკვე ვახსენე, უფრო მეტს ფიქრობს და ხედავს ადამიანი. თითქმის ყოველ შაბათკვირას, რამდენიმე ასეულ კილომეტრს გავდივართ ქართულ მრევლთან და მოძღვართან ერთად, ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ წირვა-ლოცვის აღსავლენად. მხოლოდ აქ ვივსებთ იმ დანაკლისს სამშობლო და მისი მოფერება რომ ჰქვია. აქ, თუნდაც სახელდახელოდ მოწყობილ სამლოცველოში, სამშობლოს სურნელი და სითბო გადმოდის ყოველ ჩვენგანში – არც აქ გვტოვებს **„ღვთისმშობელი“** თავის დევნილ შვილებს!.. მაგრამ, ერთ პატარა განსხვავებას მაინც ვამჩნევ ჩვენსა (უცხოეთის) და საქართველოს მრევლს შორის – აქ ძალზედ იშვიათად გაიგონებთ **„დედა ღვთისმშობლისადმი“** ლამის ხელაღებით შემაწუხებელ ღაღადისს, რომ **„ჩვენ მისი წილხვედრი ვართ და ის გვიხსნის!..“** იქნებ ვცოდავ ამას რომ ვწერ, მაგრამ რეალობას სულ სხვაგან მივყავართ. ქართულ მიწას, იმას რაც საბედნიეროდ ჯერ კიდევ შემოგვრჩა, პატრონი არ ყავს, უპატრონობით ხე არ მსხმოიარობს და საშემოდგომო კალო არ ილეწება.

მხოლოდ ამიტომ გავბედე და შევცოდე რომ გულში გამევლო – ის რასაც მოძღვარი ღვთის პირით გვეუბნება **„ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ღმერთი არ გაგვწირავს!“** – მგონი გავაუფასურეთ ურელიგიოდ დაბადებულებმა და გაზრდილებმა, ხელაღებით და მოუმზადებლად რომ შევვარდით ღვთის სახლში. ხომ არ გაგვაზარმაცა და გაგვაპარაზიტა ამ ბოლო დროს მუდამ სხვის იმედად ყოფნამ? ხომ არ არის ნამეტანი უხერხული კარდაკარ ხელგაწვდილი სიარული – მიშველე... მომდევენო?!..

ღვთისმშობლისადმი რწმენას ჩვენ არასოდეს ვტოვებთ, მაგრამ მას ისე არ ვაწუხებთ, როგორც ჩვენს სამშობლოში ხდება და ამბობენ – **„არაფერია სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვა „ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ღმერთი არ გაგვწირავსო!“**

კიდევ ერთხელ მინდა უფლის წინაშე შენდობა ვითხოვო იმაზე, რაც გავბედე და ზემოთ ვთქვი, მაგრამ მაინც არ მასვენებს ბავშვობაში (როცა უღმერთო ხელისუფლება არ წყალობდა სარწმუნოებას და მორწმუნეთ) ნასწავლი:

ადამის ძე უფალს თხოვდა – **„ღმერთო მიშველეო!“**

„ხელი გაანძრიე და გიშველიო!“ – ყოფილა პასუხი ზეციდან.

მოძღვრისგან მოყოლილს და მოსმენილს გონების თვალ-ყურით დანახვა და მოსმენა ჭირდება, თორემ უწიგნურად აღქმულმა სიბრძნემ ადვილად შეიძლება **„რელიგიურ პარაზიტიზმამდე“** მიგვიყვანოს, რასაც დღევანდელი, ქართული გულარხეინობა ჰქვია, ჩვენს სამშობლოში ყოველ ნაბიჯზე რომ წააწყდება ადამიანი!..

ღმერთო იხსენ საქართველო მისი შინაური და გარეშე მტრებისაგან, რომელთაც ერთი წლის წინ უბედურება დაატეხეს ჩვენს სამშობლოს!

ნათელყავ იმათი სულები ვინაც ამ უბედურებას შეეწირა!

დავით შოთაძე
კობლენცი, გერმანია

P.S. *ამას წინათ ჩემმა კობლენცელმა სომეხმა მეგობარმა* ***კარენ ვართაპეტოვიჩმა*** *დამირეკა და მითხრა:* ***„შენი გაზეთი წავიკითხე („ილორის“ 25-ე ნომერზეა საუბარი... მიხარია „ილორს“ რომ ჩემს გაზეთად მოიხსენიებს! დ.შ.), არ მეგონა თუ მართლა დაწერდნენ ჩემზე. თუ შეგიძლია, რედაქციას თხოვე და ჩემებს მისცენ რამდენიმე გაზეთი, გაუხარდებათ და „მაყუთსაც“ გადაიხდიან. ახლა ერთ მაგარ რამეს გეტყვი, ოღონდ ეგეც გაზეთში არ დასწერო. ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, „ქართული ოპოზიცია“ მართალია, ეგ საკაშვილი “ინაგდა” მართლა მაგრად ახურებს, მარა მაგისთვის ხომ არ ჩამოაგდებთ, იყოს კიდევ ორი წელი და თქვენც მომავალ არჩევნებზე უფრო ჭკვიანი სომეხი აირჩიეთ, თორემ ეგ ისეთ რაღაცეებს უბერამს სომხების პაზორია ტო!!!“***

ორ კურდღელს ერთად ესროლა ჩემმა ***კარენ ვართაპეტოვიჩმა*** *– მისი ჭკუით მიკბინა კიდეც და მთელი ქართველი ერიც დაგვმოძღვრა, როგორ უნდა მოვიქცეთ მომავალ არჩევნებზე.*

ისე, ჩვენში დარჩეს და, მთლად შორს არ არის ჭკუისგან ***კარენ ვართაპეტოვიჩი!..***

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

ამ თხოვნის მიზანდასახულობაზე უკვე დაწერეს იური მუხინმა, ელენე პრუდნიკოვამ და თვით ნიკოლოზ ზენკოვიჩმაც კი წიგნში **"მარშლები და გენერალური მდივნები"**, რომელიც გამოიცა 1997 წელს. მათვე დასვეს შეკითხვა: **"თქვენ გესიმპატიურებათ ეს ახალგაზრდა კაცი? მოგწონთ მისი სულიერი მისწრაფებები, მისი ლტოლვა განათლებისადმი, რათა ახალი ქვეყნის მშენებლობაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა?"**

ზენკოვიჩი იქვე პასუხობს: "**მე, მაგალითად, ძალიან მომწონს!**"

მაგრამ **"კრემლთმცოდნე"** ზენკოვიჩი ის არ იქნებოდა, რაც არის, თუ იქვე არ დაუსვამდა სხვა შეკითხვას საკუთარ თავს: **"მაშინ საიდან გაჩნდა ქაჯი, ავსული, ტირანი, ჯალათი, რომლის სახელი დაწყევლილია აწ და მარადის?"**

ზოგადი პასუხი ასეთი იქნება: **"ისეთი მწერლების კალმის წყალობით, როგორიცაა ნიკოლაი ზენკოვიჩი".**

მაგრამ მე არა ვარ დარწმუნებული, რომ მკითხველი უცებ დამეთანხმება — მე ხომ ჯერ წიგნი არ გამისრულებვია და მკითხველი კიდევ უამრავ არგუმენტსა და ფაქტს გაეცნობა, რათა საბოლოო განაჩენი გამოუტანოს წიგნის ავტორსა და მის გმირს.

ამიტომ, განვაგრძობ არგუმენტების მოხმობას და, აი, რას გეტყვით...

მისი განცხადება დათარიღებულია 1923 წლის 22 ოქტომბრით და დაწერილია თბილისში. ეს ოთხგვერდიანი საოცარი წერილი, რომელიც ცეკას ჩაბარდა, ამჟამად ბერიას პირად საქმეში ინახება.

ახლა გეკითხებით, შეეძლო კი მას, 1923 წელს, სიცრუე მიეწერა საქართველოს კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელებისათვის, ბაქოს 1920 წლის მოვლენების თაობაზე?

იგი ხომ ამ წერილს უგზავნიდა ამ საქმეებში ჩახედულ და კარგად ინფორმირებულ ამხანაგებს, რომლებიც მისი მონაწილეები, ხშირა შემთხვევაში კი, ორგანიზატორები იყვნენ. მას შეეძლო ეხელმძღვანელა მოგონილი ფაქტებით?

ხომ შეიძლებოდა, რომ მოკლედ გადმოეცა ყოველივე — ვიბრძოდი, ამხანაგებო, ვიბრძოდი და განათლების მიღება ცოტათი მიმავიწყდა... გამაგზავნეთ სასწავლებლად. იმ წლებში ახალგაზრდა პარტიელისაგან ამგვარი თხოვნა სულაც არ გამოიყურებოდა უცნაურად.

ბერიამ კი ყველაფერი დაწვრილებით აღწერა. რატომ? სატრაბახოდ?

არა მგონია. მან ეს დასწერა უფროსი ადამიანების დასარწმუნებლად, რომ თავისი, ჯერჯერობით არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში იგი ესწრაფვოდა ცოდნის მიღებას, რათა მაღალი განათლების ადამიანი გამხდარიყო, და არა უბრალო ინჟინერი, მშენებელი ან არქიტექტორი...

სწავლას აშკარად მოწყურებულია... პარტიასა და ხალხს კი მართლაც დიდ სამსახურს უწევდა იქ, სადაც მას აგზავნიდნენ.

ასე რომ, მომეცით საშუალება, ამხანაგებო ვისწავლო ის, რაც მე მსურს! შემდეგ კი მზად ვარ ერთგულად ვემსახური პარტიასა და ხალხს. მაგრამ ვიმსახურებს იქ, სადაც მე მომესურვება!

აი, რატომაა ეს განცხადება დაწერილი ასე დაწვრილებით — ავტორი შეეცადა მიეღწია მისი საყვარელი საქმის რეალიზაციისათვის.

მაგრამ, ახალგაზრდა ჩეკისტის თხოვნა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს **ჩეკა**-ს ხელმძღვანელობამ არ დააკმაყოფილა. ბერია საჭირო იყო იქ, სადაც იგი საქმიანობდა — კონკრეტულ და არც თუ მარტივ ჩეკისტურ უბანზე.

იქ იგი დიდი ხნით დარჩა.

კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ცხოვრება სულ სხვა კალაპოტში ჩააყენა. 1922 წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების რწმუნებულთა სრულუფლებიან კონფერენციაზე დაფუძვნდა ამიერკავკასიის ფედერაცია — ამიერკავკასიის სამი საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციული კავშირი.

ფედერაციის შექმნის მოწინააღმდეგეები იყვნენ არა მხოლოდ **"პირწავარდნილი ნაციონალისტები"**, არამედ ნაციონალურად განწყობილი ბოლშევიკი ლიდერებიც. საქართველოში — მდივანი, დუმბაძე, ქავთარაძე, ოკუჯავა და ცინცაძე, აზერბაიჯანში — ახუნდოვი, ჰუსეინოვი და ხანბუდაგოვი მიიჩნევდნენ, რომ ყოველ რესპუბლიკას უნდა ჰყავდეს საკუთარი არმია, საკუთარი ვალუტა, ჰქონდეს საგარეო ვაჭრობის თავისუფლად წარმოების უფლება და ჰქონდეს პარტიული დამოუკიდებლობა რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცეკას ამიერკავკასიის ბიუროსაგან.

მოვლენებს დავასწრებ და ვიტყვი, რომ 1938 წელს ყველა ეს **"ბოლშევიკი"** პარტიული მოღვაწე რეპრესირებული იყო, რისი მიზეზებიც იყვნენ არა სტალინი და ბერია, არამედ მათ ოპონენტთა პოლიტიკური დეგრადაცია, რაზედაც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ფედერაციის ვარიანტი უპრიანი იყო და 1922 წლის 13 დეკემბერს, ბაქოში აზერბაიჯანის საბჭოს სხდომაზე, ფედერაცია გადაკეთდა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.

30 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაცია გაერთიანდა რსფსრ-ს, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკასა და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკებთან და შეიქმნა ერთიანი საბჭოთა სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ამიერკავკასიაშო დაიწყო დანგრეულის აღდგენისა და ახლის მშენებლობის პროცესი, რაც დაცული უნდა ყოფილიყო ქვეჟინის შიგნით მოსალოდნელი საბოტაჟისა და დივერსიებისაგან. და რაც უფრო მშვიდდებოდა სიტუაცია კავკასიაში, მით უფრო ძნელდებოდა ამ სიბოროტესთან ბრძოლა.

ბრძოლა არ წყდებოდა, იგი მხოლოდ სახეს იცვლიდა. მდგომარეობას კი ის ართულებდა, რომ ბრძოლა ხშირად ფარული იყო.

მენშევიკ ხელმძღვანელთა საკმაო ნაწილმა საზღვარგარეთ გააღწია — ჟორდანიამ, მგელაძემ, წერეთელმა...

ბევრი მათგანი კი საქართველოში დარჩა და პოლიტიკურ მოვლენათა ცენტრში ტრიალებდნენ.

პარტიას **"მიეტმასნენ"** კარიერისტები, რომელთა შორის იყვნენ ფარული მტრები.

შევახსენებ მკითხველს, თუ რას ამბობდა მწერალი შირვან-ზადე წითელ არმიაზე: **"მან ხელიდან გამოგლიჯა კავკასიელ გლეხს იარაღი და ჩაუდო ხელში ნამგალი, პროლეტარიატს წაართვა ხანჯალი და მისცა ურო. ამიტომ დაყარა ყველამ იარაღი".**

მაგრამ იარაღი ყველამ როდი დაყარა. და მით უმეტეს, მათ არ დაუყრიათ იდეური და მორალური იარაღი. ამიტომ, საქართველოს **ჩეკა**-ს თავმჯდომარის ახალგაზრდა მოადგილე ბერია მთლიანად ეფლობა საქმეებში.

მაგრამ ეს სიტყვები ვერ ასახავენ მთელი მდგომარეობის სერიოზულობას. მაშინ ხომ ძნელი იყო ერთი სიტყვით იმის ახსნა, თუ რას ნიშნავდა **ჩეკა**-ში მუშაობა.

სამოქალაქო ომი დამთავრდა, რამაც მკვეთრად შეცვალა ჩეკისტთა ამოცანები. **ჩეკა**-ს და პოლიტსამმართველოს წინაშე იმდენი პრობლემა დახვავდა, რომ შეიძლებოდა ადამიანს თავი დაეკარგა...

მაგრამ ჩეკისტებს არასოდეს ჰქონდათ თავის გაკარგვის უფლება. რადგან თავი ერთია, პრობლემები კი...

დიახ, საქმე და პრობლემა უამრავი იყო და არა მხოლოდ ბანდიტიზმსა და საბოტაჟთან ბრძოლა. იყო სამეურნეო, ეკონომიკური, კულტურული და სპორტული პრობლემაც კი...

ნაციონალურ რესპუბლიკებში კი — ნაციონალური პრობლემებიც. განსაკუთრებით ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, სადაც ყოველივე ამას ეძლეოდა სპეციფიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელფერი...

1910 წელს სტალინმა სერიით **"წერილები კავკასიიდან"**, გამოაქვეყნა ორი ღრმა შინაარსის მქონე წერილი — **"ბაქო"** და **"ტფილისი"**.

წერილში **"ტფილისი"** იგი წერდა:

"მრეწველობის განვითარების მხრივ ტფილისი ბაქოს პროტოტიპია. თუ ბაქო გვაინტერესებს, როგორც ნავთობმრეწველობის ცენტრი, თბილისმა შეიძლება ინტერესი გამოიწვიოს როგორც კავკასიის ადმინისტრაციულმა-სავაჭრო და "კულტურის" ცენტრმა". ტფილისის მთელი მუშათა კლასი 20.000 ადამიანს მითვლის და ისინი ბევრად ნაკლებნი არიან, ვიდრე ჯარისკაცები და პოლიციელები. ერთადერთი მსხვილი საწარმო არის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც დასაქმებულია 3.500 მუშა. სხვა წარმოებებში მუშაობს 40-50 კაციანი კოლექტივები. სამაგიეროდ ტფილისში მოზღვავებულია სავაჭრო დაწესებულებები და მასთან დაკავშირებული "მოვაჭრე პროლეტარიატი"... ამით აიხსნება, რომ მენშევიზმი მყარად არის ფეხმოდგმული და დიდ ხანს ძლებს ტფილისში. ბაქოში კი ბოლშევიკთა ინიციატივებს უამრავი მხარდამჭერი ჰყავს!"

მაგრამ ბერია ახლა ბაქოში კი არა, ტფილისში მუშაობდა, სადაც საბჭოთა სპეცსამსახურებს ნაკლები თანამდგომი ჰყავდათ. ტფილისში კი განსაკუთრებით იყო გაჟღენთილი მენშევიკური და ბურჟუაზიული ნაციონალიზმით.

რუსეთი, რომელსაც არც თუ საზრიანად უწოდებდნენ **"ხალხთა სატუსაღოს"**, უფრო ის ციხე-სიმაგრე იყო, სადაც მას თავშეფარებული ერები ინარჩუნებდნენ არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობას, არამედ ეროვნულ თვითმყოფადობასაც და ამის ნათელი მაგალითია საქართველო და სომხეთი.

ალბათ XXI საუკუნეში ისინი არ იარსებებდნენ დღევანდელი სახით, რომ არ ესარგებლათ რუსეთის მფარველობით. თან ის, რაც დღეს **"საქართველოდ"** იწოდება, სწორედ რუსეთმა შემოუკრიბა თბილისს გარშემო ირანისა და თურქეთის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ყოველთვის ამ მიწების გადაყლაპვის სურვილით იყვნენ შემართული.

მით უმეტეს, 1832 წელს საქართველოში გამჟღავნდა თავად-აზნაურთა შეთქმულება, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილება... ქართველი იოსებ ჯუღაშვილი, რომელმაც შემდეგ პოლიტიკურ ფსევდონიმად **"სტალინი"** შეირჩია, ამის თაობაზე წერდა: **"ქართველმა თავადაზნაურობამ... რომელსაც პირადი ღირსების დაკნინებად მიაჩნდა რუსეთთან შეერთება... მოისურვა "საქართველოს დახსნა"... ამ მოძრაობამ ვერ მოიხვეჭა სახელი და ღირსება..."**

რა თქმა უნდა! ამ შეთქმულების წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ თურქული იატაგანის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ როგორც ქართველი გლეხები, ასევე თავად-აზნაურებიც. ამის განჭვრეტას ხომ დიდი პოლიტიკური ალღო არ სჭირდება!

მათ კი ეს ალღოც არ ჰქონდათ! რუსეთიდან გამოცალკევების აზრი ქართულ **"დემოკრატიულ ინტელიგენციაში"** ჯერ კიდევ რევოლუციამდე მძლავრობდა. ქართველ მენშევიკთა ლიდერი ნოე ჟორდანია 1893 წელს საქართველოს მარქსისტთა პირველ კრებაზე გამოვიდა წინადადებით, რომ შექმნილიყო არა სოციალ-დემოკრატიული, არამედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. და შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოში მენშევიკები განსაკუთრებით გაძლიერდნენ. ამ პარტიაში **ათი ათასობით** ადამიანი იყო გაერთიანებული.

ბოლშევიკთა საერთო რაოდენობა კი საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, **ორი ათას** კაცს არ აჭარბებდა. სამაგიეროდ, გასაბჭოების პირველსავე წელს ბოლშევიკთა რიგები შეივსო 18.821 წევრით!

მალე წმენდა დაიწყო და მათი რაოდენობა განახევრდა და განთავისუფლდა არასაიმედო ელემენტებისაგან. დარჩა 10.816 ადამიანი, მაგრამ 1927 წლისათვის პარტიულთა რიცხვი 32.712 კაცამდე გაიზარდა. მაგრამ დაჯერებით არ შეიძლებოდა იმის თქმა, თუ მათ შორის რამდენი იყო ჭეშმარიტი ბოლშევიკი. ფაქტია, რომ მათ შორის უხვად მოიძებნებოდნენ მენშევიკებიც. დესტაბილიზაციის რეალურ ფაქტორს წარმოადგენდნენ იატაკქვეშეთში წასული მონარქისტები, სეპარატისტები, სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატისტები.

გარდა ამისა, იყვნენ ინგლისის, ირანისა და თურქეთის აგენტები. აშშ-ს ელჩმა სმიტმა, თბილისიდან გამგზავრების შემდეგ ვიღაცა დატოვა სპეციალური დავალებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს გერმანიის აგენტურაც — თავისი დაზვერვისა და გავლენის აგენტებით. გერმანელები ხომ დიდი ხნის წინათ მოვიდნენ კავკასიაში. რიჰარდ ზორგე ლაიპციგში კი არა, ბაქოში დაიბადა 1895 წელს გერმანული ნავთობის ფირმის ინჟინერ ადოლფ ზორგეს ოჯახში, რომელიც ორსართულიან სახლში ცხოვრობდა აჯიკენტში. მაგრამ ბაქოში დაბადებული ყველა გერმანელი არ ხდებოდა კომინტერნის წევრი. ზოგიერთები გერმანიის პოლიტიკურ დაზვერვაში — რაიხსვერში მიდიოდნენ!

და კიდევ — მაშინ ამიერკავკასიაში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უხვად იყვნენ ტროცკისტები.

რითი განსხვავდებოდნენ ისინი ბოლშევიკებისაგან? უპირველესად იმით, რომ საბჭოთა კავშირში ხედავდნენ მსოფლიო რევოლუციის ბაზას. თვლიდნენ, რომ მსოფლიო რევოლუციის **"ხანძრის"** გარეშე საბჭოთა კავშირი განწირული იყო და ამიტომ არ ღირდა მის გასაძლიერებლად შრომა.

სტალინი და მისი მიმდევრები საბჭოთა კავშირში უპირველესად ხედავდნენ ახალ რუსეთს და მის ნათელ მომავალს. იგი გაძლიერდებოდა ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით და მთელი მსოფლიოსათვის სანიმუშო წყობის ქვეჟინად იქცეოდა.

ტროცკისტები ყველგან მტრობდნენ რუსეთს, ამიერკავკასიელი ტროცკისტები კი ბევრად საშიშნი იყვნენ თავიანთი ნაციონალისტური მიდრეკილებებით. ამის ნათელი მაგალითია ბუდუ მდივანი, იმდენად ნათელი, რომ მასზე საგანგებოდ უნდა შევაჩერო ყურადღება...

გაგრძელება იქნება

მრგვალი მაგიდა

2008 წლის აგვისტო – ქართული სახელმწიფოებრიობის ტრაგედია

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ორგანიზებით 3 აგვისტოს თბილისში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „2008 წლის აგვისტო – ქართული სახელმწიფოებრიობის ტრაგედია: მიზეზები და შედეგები“, რომელშიც მონაწილეობდნენ ექსპერტები, ჟურნალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დისკუსიის მონაწილეებმა განიხილეს შექმნილი ვითარება, რომელიც უახლესი წარსულის ტრაგიკულ მოვლენებთანაა დაკავშირებული.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ: არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე; ამავე ორგანიზაციის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე თემურ ქორიძე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე; პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი; პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი; ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე შოთა კვირტია; ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა; გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, პოლიტოლოგი ვიქტორ ცაავა; „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ პრეზიდენტი, პროფესორი, თეოლოგი დენიზა სუმბაძე; ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი გივი გურეშიძე; გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი როლანდ ჯალაღანია; პუბლიცისტი ანზორ დანელია; პოლიტოლოგი ბეჟან ხაჟალია.

გთავაზობთ ფრაგმენტებს დისკუსიაში მონაწილეთა გამოსვლებიდან:

თემურ ქორიძე: მე ხელთ მაქვს თავისი შინაარსით უნიკალური დოკუმენტი, რომელმაც, შესაძლოა, თავდაყირა დააყენოს ჩვენი პოლიტიკოსების და ისტორიკოსების წარმოდგენები ეთნოპოლიტიკაზე. იგი განსაკუთრებით იმ გავლენას უკავშირდება, რაც საქართველოს დღევანდელობას ყველენას უკავშირდება, რაც საქართველოს დღევანდელობას ყველაზე მეტად აწუხებს. „ცხინვალი შესაძლოა, საქართველოს საბჭოდისწერო ფრონტად იქცეს. ყველანაირი ჯურის იარაღით იქ ნამდვილი ომი წარმოებს. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს ომი იოლად არ გათავდება და ბრძოლაც მასიურ ხასიათს ღებულობს“... როგორ ფიქრობთ, ეს როდის არის დაწერილი? 1991 წელს თუ 2008 წელს? – ეს დაწერილია 1918 წლის 23 მარტს, გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“ და მისი ავტორი გახლავთ დიდი მამულიშვილი, პირველი რესპუბლიკის მემატიანე, პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი. ასე რომ, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცხინვალის კონფლიქტი დაიწყო 1988-89 წლებში ან, მით უფრო, ეროვნული ხელისუფლების დროს, რაზეც ხშირად აკეთებენ აქცენტს, ან თუნდაც გუშინ თუ გუშინწინ, მცდარია და მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ისტორიოგრაფია, ჩვენი პოლიტიკური ქვეცნობიერება ძალზე შორს არის ეროვნული ფესვებისაგან ან არ სურს, გაიგოს იმ უბედურების მასშტაბი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. დღეს, როდესაც საუბარია იმაზე, რომ საქართველო მიისწრაფვის ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციით ჩრდილოატლანტიკური ღირებულებებისკენ, და რა ღირებულებებია ეს ვიცით – XXI საუკუნეში ვიხილეთ ადამიანის ჩამოხრჩობის შემზარავი სურათი იმ ადგილას, სადაც ირწეოდა კაცობრიობის კულტურის აკვანი, ბაბილონის მიწაზე, ერაყში, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ თურმე ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტაცია მიმართული უნდა იყოს ამ არნახული და გაუგონარი ბარბაროსობისკენ, ბუნებრივია, რომ ჩვენ უზარმაზარი საფრთხის წინაშე ვდგავართ, რათა დაიშალოს და დაინგრეს საქართველო. ეს არ არის ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის დამახასიათებელი მიმართულება. იგი არასოდეს გულისხმობდა უარყოფას ტოლერანტობისას, რელიგიურ შემწყნარებლობას, კონფესიურ ურთიერთობათა დამკვიდრებას. პირიქით, დღეს, როდესაც ჩვენი შეიარაღებული ახალგაზრდები ავდანეთსა და ერაყში მიდიან, სადაც XXI საუკუნისთვის არნახულ ბარბაროსულ აქციებში არიან ჩაბმული, სწორედ ეს იწვევს ქვეცნობიერად ქართული ერთიანობის, ეროვნული სულიერების დაკნინებას და ამას ბუნებრივად მოსდევს პრაქტიკული დადასტურება – ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ამიტომ, ნუ გვიკვირს, რომ ხან ერთგან წარმოიქმნება ცხელი კერა და ხან მეორეგან და კიდევ რამდენიმე ადგილია საქართველოში, სადაც შეიძლება გაღვივდეს ასეთი კერები. ის, რაც მოხდა შარშან, არ შეიძლება დავაბრალოთ მხოლოდ და მხოლოდ ოსებს, აფხაზებს, რუსებს, თურქებს და ა.შ. დავფიქრდეთ და ბოლომდე გავიაზროთ ის, რასაც ეთნოკონფლიქტს ვეძახით. ტრაგედია დღევანდელი ქართული სინამდვილისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თანდათან უფრო და უფრო ვცილდებით საკუთარ თავს, ჩვენს მეობას, კულტურულ-ისტორიულ ცნობიერებას, იარაღად ვიქცევით აბსოლუტურად უცხო, XXI საუკუნის ბარბაროსთა ხელში. ეს არის ნატო და მისი ლიდერი – ამერიკის შეერთებული შტატები.

ჯიმი ჯალიაშვილი: ამერიკის ვიცე-პრეზიდენტისგან ჩემთვის ძალიან მძიმე მოსასმენია, რომ საქართველო ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს იყო, რბილად რომ ვთქვათ, უკვე დაცინვა იმ ადამიანებისა, რომლებიც ქვეყნის მართვის საჭეს ფლობენ, მაგრამ რა დააშავა ხალხმა?! თუკი ის ყველაზე დემოკრატიულად აღგვიქვამს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებს საქართველო აინტერესებს, როგორც ტერიტორია. ჩვენ ეს ყოველთვის გვესმოდა, მაგრამ როგორ შეიძლება ამ სივრცეში, სადაც ნორმალურად აბალანსებენ ძალებს, ვთქვათ იგივე სომხეთი; არ შეიძლება, რომ ორი უდიდესი სახელმწიფოს ინტერესები ჩვენს სივრცეში ბალანსირებული იყოს? რთულია? აგებს რამეს სომხეთთან აზერბაიჯანი, მიუხედავად იმისა, იქაც არის კონფლიქტი? ამიტომ, ჩემი აზრით, უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ აუცილებელი საფუძველი – ჩვენი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები. ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში ნებისმიერ ეპოქაში და პოლიტიკურ სისტემაში ნამდვილ ერს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს თავისი უცვლელი ეროვნული ინტერესები. არ აქვს მნიშვნელობა დროს, სისტემას და კონიუნქტურას. ნატო ჩვენი სასიცოცხლო ინტერესია? ჩვენ, ქართველები, სხვანაირად ვერ ვიარსებებთ? სასიცოცხლო ინტერესია ის ფასეულობები, რომელიც შემოდის? – აი, ამას უნდა ჩამოყალიბება. ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ მიგვითითა ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე – ენა, მამული, სარწმუნოება. თუ ახლაც ეს არის ჩვენი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები, მაშინ ნებისმიერი მოქალაქე და, მით უფრო, პრეზიდენტი უსიტყვოდ უნდა გადადგეს და ეს უნდა იყოს გასაგები ხალხისთვის – დაიკარგა ფუნდამენტური საფუძველი ერისა – ტერიტორია. რას ველოდოთ ახლა – როდის დავკარგავთ დანარჩენებს? ჩვენ მხოლოდ გარეთ ვიყურებით – ვინ უფრო მკაცრ განცხადებას გააკეთებს რუსეთის მიმართ. ისე გამოდის, რომ ამჟამად ეს ტერიტორია საქართველოს ოკეანისგაღმა სივრცემ დააკარგვინა და რუსეთს არ უნდა დავაბრალოთ. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ქართველი და ოსი ხალხების გაუცხოებისთვის. თუნდაც, ერგნეთის ფაქტი რად ღირს – ხალხი ერთმანეთს დააშორეს და ახლა კითხულობენ, რა შეიძლება გაკეთდეს ტერიტორიების შემოსაერთებლადო. იქნებ, ახლა მაინც შევცვალოთ ეს პოლიტიკა და როგორმე ხიდი გავდოთ ურთიერთზე განაწყენებულ ხალხთა შორის და ამის შემდეგ მაინც დაგვადგეს საშველი.

როლანდ ჯალაღანია: საქართველო კავკასიაში ყოველთვის ლიდერობდა. ჯერ შევარდნაძის, ხოლო შემდეგ სააკაშვილის ანტიქართულმა პოლიტიკამ კი მაჩანჩალა ქვეყნად აქცია. არც ერთ ქვეყანას ხელს არ აძლევს ომი საქართველოში, რადგან აქ საომარი ვითარების შექმნა საფრთხეს უქმნის მთლიანად კავკასიას. ცხინვალის რეგიონში განხორციელებული პროვოკაციები სერიოზულად უნდა აღვიქვათ. ვის სჭირდება მათი განსაკუთრებულად აფიშირება და რუსეთზე გადაბრალება? ჯერ როკის გვირაბმა რა დაგვმართა და ახლა ჯავახეთში ახალი გზის მშენებლობას იწყებენ. განა ძნელი მისახვედრია, რა შეიძლება მოჰყვეს ამას? მეტი სიფრთხილე გვმართებს.

გივი გურეშიძე: უპირველესად, დიდი მადლობა, რომ ამ დიალოგში ქუთაისელი პოლიტოლოგებიც მოგვიწვიეთ. მე დიდი სიამოვნებით ვმონაწილეობთ ამ მრგვალი მაგიდის მუშაობაში. როგორც მოგეხსენებათ, დღეს რუსეთს არ სურს ჩვენთან საუბარი. ეს ქვეყანა ჩვენკენ რომ შემოვაბრუნოთ, ვფიქრობ, საჭიროა, აზერბაიჯანს მივბაძოთ და საქართველოს კონსტიტუციაში ჩავწეროთ: **„საქართველო ნატოში ან რომელიმე სხვა სამხედრო ბლოკში გაერთიანებაზე უარს ამბობს; მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზების განლაგება გამორიცხულია“**. ქუთაისელმა პოლიტოლოგებმა გამოვეცით ბროშურა **„ცხელი აგვისტო, 2008“**, რომელშიც გამოთქმულია ჩვენი მოსაზრებები ომის გამომწვევ მიზეზებზე. საქართველოს ნატოზე ვერ **„დაამყნობ“**, რადგან სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური რეალობისთვის ეს მიუღებელია. ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე. **„ნატო მინდას“ გაუთავებელმა კაკანმა საქართველო ტრაგედიამდე მიიყვანა“**.

შოთა კვირტია: „ერთი წელი გავიდა შარშანდელი აგვისტოს ომიდან და დღემდე არ გაკეთებულა სერიოზული დასკვნები. ალბათ, ამიტომ ჯერაც არ გამქრალა საფრთხე. მე აფხაზეთიდან ვარ და ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსა და აფხაზეთის ერთობა. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება, აუცილებელია მოვლენათა წინაპირობების ღრმა ანალიზი და მოსალოდნელი საფრთხეების გააზრება. ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი იმ პრობლემების მოგვარებაა, რომლებიც საზოგადოებას ძალიან აწუხებს. ბატონმა თემურ ქორიძემ შემწყნარებლობაზე ისაუბრა, მაგრამ ჩვენ ზომიერება დავკარგეთ. როცა ზომიერება ქრება, ტოლერანტობა უპრინციპობად გადაიქცევა. საქართველოს რომელიმე სამხედრო ძალასთან კავშირი იმიტომ მინდა, რომ ჩემი ქვეყანაც გაძლიერდეს. ნატოსთან ურთიერთობა რას მაძლევს? იმ შემთხვევაში, თუკი ნატო აქ სამხედრო ბაზას გააკეთებს, მაშინვე მთელი ისლამური სამყაროს დარტყმის ქვეშ აღმოვჩნდებით.

ბეჟან ხაჟალია: საქართველოსა და რუსეთის მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობები ყოველთვის სამაგალითო იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ და რუს საეკლესიო მოღვაწეთა მჭიდრო კონტაქტებიც. თუკი აქ შეკრებილნი შევძლებთ საერთო ენის გამონახვას და გაერთიანებას, თუკი ქართველი და სხვა კავკასიელი ერები შევძლებთ შეკავშირებას, მაშინ შესაშურ შედეგებსაც მივიღებთ და, ალბათ, ჩვენი პრობლემის მოგვარებასაც შევძლებთ.

ანზორ დანელია: შარშან რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს. ამ მოვლენის წინაპირობებიც არ დაგვიწყებია – კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვეს და ახალგორის რაიონი სამხრეთ ოსეთს შეუერთეს, გააუქმეს ერგნეთის ბაზრობა, რომელიც ქართველი და ოსი ხალხების დაახლოების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო. ხალხს ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდა და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდა. კარგად გამიგეთ, აფხაზეთის ომში ორი ვაჟი დავკარგე, ამიტომ ჩემთვის ეს თემა განსაკუთრებით სათუთია... რა თქმა უნდა, გეხსომებათ, შარშან პატრიარქის მცდელობას პერევიდან ჯარის გაყვანის შესახებ რაც მოჰყვა, ხელისუფლების უგუნური განცხადებების შედეგად გასული ჯარი უკანვე შემობრუნდა.

რამაზ კლიმიაშვილი: ადრეც ვწერდი, სააკაშვილი აქ იმისთვის დასვეს, რომ რუსეთის პროვოცირება მოეხდინა. აშშ ახალი ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვაზე“ ლაპარაკობს, ამ დროს კი იქ არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ სააკაშვილის ხელით ახალი კონფლიქტის პროვოცირებას და რუსეთის მსოფლიო პოლიტიკიდან გარიყვას. თქვენ იცით, რა შეიძლება მოჰყვეს ამ მცდელობას. სააკაშვილი რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავუშვათ.

ვიქტორ ცაავა: უპირველესად, აღვნიშნავ, რომ მსოფლიოში თუკი რომელიმე სახელმწიფოს ხელს არ აძლევს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, ეს არის რუსეთი. მე გავეცანი „თურქულ გეგმებს“ და თურქეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. წარმოგიდგენიათ, თურქული დიასპორა რომ შეესიოს აფხაზეთს, რა მოხდება? რა ფუნდამენტი შეიქმნება ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვლენ? ჩემი აზრით, ეს არის რუსეთისთვის სრულიად დაუშვებელი და ამ აღიარებით, რა თქმა უნდა, გადააჭარბა, მაგრამ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. ამერიკამ ქართული არმიის მოდერნიზაციასა და გაწვრთნაში 10 მილიარდი დოლარი გადაიხადა. პრაგმატული ამერიკელები ტყუილად ერთ დოლარსაც არავის მისცემენ. აქედან გამომდინარე, გარკვეული მიზნები არსებობდა. ჩემი აზრით, აგვისტოს ომი აშშ საპრეზიდენტო არჩევნებსაც უკავშირდებოდა, რადგან მაკკეინის რეიტინგს ასეთი კონფლიქტის გაჩაღება გარკვეულწილად წაადგებოდა, თუმცა არაფერი უშველა. უნდა ვეცადოთ, რომ ქვეყანა ამ ჩიხიდან გამოვიყვანოთ. ადამიანი, რომელიც ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს დაპირისპირების ცენტრად თავის ქვეყანას შესთავაზებს, ის სასწრაფოდ უნდა მოშორდეს პრეზიდენტის პოსტს. ეს ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ, თორემ წინ ბევრად უარესი გველოდება, ვიდრე წარმოგვიდგენია...

ელიზბარ ჯაველიძე: სააკაშვილი არის იმ სისტემის ჭანჭიკი, რომელიც დაამკვიდრა ამერიკამ და რომლის მთავარი მიზანი არამარტო ქართული სახელმწიფოს დანგრევა, არამედ ქართველი ერის მოსპობაა. აი, ეს არის მთავარი და უმძიმესი პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენი ერის წინაშე დგას. სამწუხაროდ, ჩვენი ე.წ. ოპოზიციაც ამერიკას და დასავლეთს მისჩერებია, რადგან ისინი არა ქართველი ხალხის, არამედ ამერიკის წინაშე გრძნობენ პასუხისმგებლობას. ამერიკას უკვე სააკაშვილი №2 ჰყავს გამზადებული. ეს არის ცერეუს გამოზრდილი ალასანია, რომელიც (სააკაშვილი ხომ ანგრევს) საბოლოოდ მოუთავებს ხელს საქართველოს. დღეს ევროპა გონს მოეგო და მიხვდა, რომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ორპოლუსიანი მსოფლიო. გორის მიდამოებში ახლა თავი მოუყარეს ქართველ ჯარისკაცებს. არ გამოვრიცხავ, რომ ახალი პროვოკაცია მოხდეს, ამიტომ ქედის მოდრეკა არავისთან არ გვინდა, მაგრამ საერთო ენა დამპყრობელთანაც უნდა გამოვნახოთ.

დენიზა სუმბაძე: ჩემი აზრით, საჭიროა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე საქართველოში განვითარებული მოვლენების ანალიზი მსოფლიო პროცესების გათვალისწინებით. ბევრი რამ სახელმწიფოებრივ დონეზე არ ფასდება. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა რუსეთის ხელისუფლების გამიზნული ნაბიჯი იყო, საქართველოსკენ გადმოდგმული. რუსეთის პრეზიდენტი დაჰპირდა პატრიარქს, რომ ლტოლვილები დაბრუნდებოდნენ თავიანთ ფუძეზე, მაგრამ მეორე დღესვე საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებმა ყველაფერი გააფუჭა. ვფიქრობთ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიალური მმართველობა უნდა გამოცხადდეს; რუსეთთან ურთიერთობა ეკლესიური გზით უნდა გავაგრძელოთ, საამისოდ რუსეთის ეკლესია მხარში გვიდგას.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში ძირითადი გამომსვლელების გარდა აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი ადამიანები. ბატონმა დავით ქობალიამ საქართველოში

გაგრძელება 10 გვ

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



(ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.

ისლამის საკითხს ჩვენ დღემდე უკულტუროდ ვეკიდებით, ჩვენს ქვეყანაში კი, რიცხოვნობით, ***მუსულმანებს რუსების შემდეგ პირველი ადგილი უკავიათ.*** მიუხედავად ამისა, ჩვენ, ჯერჯერობით, არა გვაქვს თარგმანი წიგნისა "**Le Goran anatise**" რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში დასაქმებული ნებისმიერი ფრანგი ჩინოვნიკის სამაგიდო წიგნია; რამდენადმე სერიოზული, მიუკერძოებელი გამოკვლევის ჩატარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი მოსამსახურე იმ ხალხის საქმიანობას, რომელთაც საქმე აქვთ მუსულმანებთან და მათ მსოფლმხედველობაში ღრმად ჩაახედებდა, ჩვენთან ჯერჯერობით არც კი საუბრობენ. ისე, ჩვენში რომ დარჩეს, კიდევაც რომ გამოვიდეს ამგვარი წიგნები, მათი წამკითხავი არავინ იქნება, რადგან აზიის ჯურღმულებში დასაქმებულ რუს ჩინოვნიკებს ამჟამად სულ სხვა საზრუნავი აქვთ.

იმ რწმენისადმი ერთგულება, რომელსაც ადამიანი ჭეშმარიტად მიიჩნევს, რა თქმა უნდა, გულისხმობს სხვა რელიგიათა ჭეშმარიტების უარყოფას თავიდან ბოლომდე: ***როგორც მართლმადიდებელი, მე ვადიარებ მხოლოდ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებას***, რა თქმა უნდა, სხვა რელიგიათა საზიანოდ. მით უმეტეს, უცნაური იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სხვა რელიგიები მოიცავენ იმ მუდმივი ჭეშმარიტების ნაწილს, რომელიც ***მთლიანად შეადგენს*** მართლმადიდებლობის შინაარსს; კიდევ უფრო უცნაური იქნებოდა სხვა რელიგიათა კეთილშობილური გავლენის უარყოფა მის საწმყსოზე, თუნდაც ისეთისა, როგორიცაა ისლამი. ჩვენი, მართლმადიდებლური თვალთახედვიდან გამომდინარე, იგი მაინც აძლევს ისლამის მორწმუნე ხალხებს მოკლე, იოლად გასაგები ფორმულის სახით აუცილებელ ელემენტებს ზომიერი სახით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სჯულის კანონი მათთვის არ გახლავთ ჭეშმარიტება. პრაქტიკული ენით რომ ვთქვათ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე ადამიანი, რომელმაც კეთილსინდისიერად აღიარა ისლამი და, რომელიც, ამავე დროს, არის ქრისტიანული მორალის დამფასებელიც, და ამის შედეგად ატარებს პატრიარქალურ-ღირსეულ ცხოვრებას, იქნებოდა ბევრად უფრო ცუდი, ვიდრე მაშინ, თუ მას თავში ჩავუდებთ შედარებით მაღალ ქრისტიანულ საწყისებს, თუმცა, მისი შემეცნებისათვის ნაკლებად გასაგებს. ზნეობრივი შინაარსი აორთქლდებოდა, და მივიღებდით სიცოცხლეს მოკლებულ რიტუალს, იმ წარმართობას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც წარმოჩინდა მუჰამედი, როგორც ჭეშმარიტი განმანათლებელი, თავისი თანატომელების ზნეობრივი პროგრესის ჭეშმარიტი შემოქმედი.

თუ ჩავწვდებით ისლამის დოგმატიკასა და ისტორიას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ეს რელიგია, რომელიც ქადაგებს ახლობლებისადმი გულმოწყალებას, მწუხარეთა და დავრდომილთა დახმარებას, დღეში რამდენჯერმე გააცისკროვნებს ადამიანს ერთიანი ღმერთის არსებობის შეხსენებით (ნამაზის მკაცრი მოთხოვნით), მიუხედავად ზოგიერთი საომარი მოწოდებისა, მაინც შეიძლება მივიჩნიოთ ***ქრისტიანობის სულიერ განაყოფად,*** ამ დიდი მდინარისაგან მოწყვეტილ ტოტად, რომელიც ოდესმე აუცილებლად დაუბრუნდება დედა-მდინარეს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ გამუსულმანებული ქართველი აჭარელი და მართლმადიდებელი გურული (ეროვნული წარმოშობით თითქმის ძმები არიან), რომელთაგან უპირატესობა ***პირველს*** უნდა მივანიჭოთ, რადგან ისინი უფრო პატიოსნები და ზნეობრივად მაღლები არიან. თუ ავიღებთ მუსულმან აზერბაიჯანელს, თუნდაც ყაჩაღთა წრიდან, მაგრამ მორწმუნე მუსულმანს და "ყველასგან პატივდებულ", კავკასიის ხელისუფალთა მიერ ნალოლიავებ "ქრისტიან" სომეხს, რომელსაც ჯიბეში უდევს ფილოსოფიის დოქტორის დიპლომი, საპატიო წოდება და სავიზიტო ბარათი, ეჭვსგარეშეა, რომ ყოველნაირი ზნეობრივი უპირატესობა პირველის მხარეზე იქნება; პირველი – მართალია ცოდვილია, მაგრამ ***გულწრფელად სჯერა*** ღმერთის, მეორე კი – უბრალოდ, გამოწყობილია ინგლისურ სერთუჯში, არის ცბიერი ***ცხოველი,*** რომლისთვისაც ქრისტიანობა მკვდარი და დამახინჯებული მცნებაა.

ისლამის ვეებერთელა კულტურული დამსახურება მისი მორწმუნე ადამიანების მიმართ არის მისი ელემენტარულობა, მისი დოგმატების და წერილების სიცხადე. ეს არ გამორიცხავს მასში ღრმა თეოსოფისტური (რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომლითაც თითქოს შესაძლებელია ზეშთაგონების გზით ღვთის შემეცნება და ე.წ. "მიღმა სამყაროსთან" ურთიერთობა) საწყისების არსებობას, რომლის ლოგიკური განვითარება თვალნათლივ აახლოვებს ისლამს ქრისტიანობასთან. სუფიების სექტა ამის მკაფიო დასტური გახლავთ, ხოლო ომარ ხაიამის რუბაია, რომელშიც აღწერილია "იესოს ცხოველმყოფელი სუნთქვა", ისლამის ქრისტიანული განწყობის მხატვრული დადასტურებაა. არაბთა ცივილიზაციის აღზევების პერიოდში ამ რელიგიის მიერ წარმოებულმა დოგმატურმა სამუშაომ ერთი მნიშვნელოვანი ნაყოფი მოიტანა – ***რწმენის გონებასთან შერწყმის მისწრაფება.*** რამდენიმე საღვთისმეტყველო სკოლამ წარმატებით შეასრულა ეს სამუშაო. ის თვალსაზრისი, რომ ჭეშმარიტი სიბრძნე თანხვდება სათნოებასა და ღვთის სიმართლეს, ხშირად გვხვდება მუსულმანებში. მაგალითად, როცა აზერბაიჯანელი კიცხავს ვინმე ცბიერ და შორსმჭვრეტელ არამზადას, აუცილებლად იტყვის მასზე, გაპარსული თავის გაქნევით: "უჰ, როგორი ***წინდაუხედავი ადამიანია...***".

რა თქმა უნდა, იდეალებს, რელიგიის უმაღლეს საწყისებსა და იმ ფორმებს შორის, რომელშიც ყოველივე ეს პრაქტიკაში ვლინდება, არსებობს ფრიად ხელშესახები განსხვავება. როცა კავკასიაში გავრცელებულ ისლამზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ბნელი მასის დამოკიდებულებაც რელიგიის მიმართ (მაგალითად, "შახსეი-ვახსეი" შიიტებისათვის), გავიხსენოთ მოხეტიალე დარვიშებიც, რომლებიც ხალხს აფორიაქებენ თავიანთი ფანტაზიებით, ბუნდოვანი ქადაგებებითა და ფოკუსებით, და მათი მეზობელი აზიის სახელმწიფოთა ემისრები – რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული პოლიტიკური მოღვაწეები. რეალურად, ზოგჯერ ისლამი იღებს უხეშ, ველურ ფორმას და ცრურწმენის სახეს, რის თაობაზეც ჯერ კიდევ თავადი დიმიტრი კანტემირი სწერდა თავის შესანიშნავ "სუსტიმის წიგნში", რომლის ერთ-ერთი პამფლეტი – "მუჰამედის რელიგია" ჯერ არ მიკუთვნებია და, ალბათ, მალე არ ჩაბარდება ძველი თქმულებების სფეროს. ყველაფერი ეს არსებობს, ყოველივე ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ ისლამში არ შეიძლება იმ საუკეთესოს იგნორირება, რომელიც ემსახურებს ზოგადსაკაცობრიო სიმართლესა და ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს.

ასევე არ შეიძლება მოსახლეობის იმ ბუნებრივი შტრიხების უგულვებელყოფა, რომლის განვითარებასაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სასიკეთო შედეგების მოტანა შეუძლია. აზერბაიჯანელთა კულტურული განვითარება, ასეა თუ ისე, შეიძლება წარიმართოს უფრო რუსული, ვიდრე დასავლეთ-ევროპული საწყისების ათვისების გზით. მთელი ვოლგისპირეთის თათრები, შუა აზიის სახანოს მცხოვრებთა მსგავსად, კულტურის თვალსაზრისით, ბუნებრივად უფრო რუსეთისაკენ მიისწრაფვიან, რომელიც მათთვის, ასე ვთქვათ, განვითარების ბუნებრივ სტადიას წარმოადგენს. რუსულ-თათრული სკოლები შესანიშნავად ერწყმიან ერთმანეთს და მოსახლეობის ყველა ფენის თანაგრძნობაც ჭარბად აქვთ, რომლის სურვილია რუსული ენის შესწავლა და რუსეთთან დაახლოება. ისეთი მოვლენა, როგორიცაა სომხური სამღვდელოებისა და პლუტოკრატიის ბრძოლა რუსულ ხელისუფლებასთან ძველი ტიპის სკოლების თაობაზე, სადაც რუსული ენა ფიქტიურად ისწავლებოდა, თათრებს შორის ჯერ არ დაფიქსირებულა. არც რუსეთისადმი ზიზღი გამოსჭვივის, როგორც ამას ამჟდავნებს თავიანთი თვითმარქვია წინამძღოლების მიერ წაქეზებული სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. რა თქმა უნდა, პირველმა რუსმა კოლონიზატორებმა და კავკასიაში ჩამოსახლებულმა სექტანტებმა იგემეს თათრული ხანჯალი. ახლანდელი სენტიმენტალური შეშლილი დუხობორების წინაპრები, რომლებიც ისტერიკამდე მიიყვანა გრაფმა ლევ ტოლსტოიმ, ამ საქმეს რეალურად უცქერდნენ და ღირსეულად უკუაგდებდნენ ხოლმე თათართა სისხლიან შემოტევებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თათრები თოფის გასროლის მანძილზეც კი ვერ ბედავდნენ სექტანტებით დასახლებულ სოფლებთან მიახლოებას, რითაც დუხობორებმა მიაღწიეს სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

იმ თათრებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ გონებით, კარგად ესმით ძალისა და აფასებენ კიდეც მას. სექტანტთა ენერგიის წყალობით, თათარ მოსახლეობას შორის, რუსულმა სახელმა ღირსეული ადგილი დაიკავა და ახლაც, რუსებს ურჩევნიათ კავკასიაში თათრებთან დაიჭირონ საქმე, ვიდრე სხვა მეზობლებთან. ზოგჯერ, ერთმორწმუნე ქართველებიც კი ჩვენთვის შედარებით მოუხერხებელნი არიან, ვიდრე მუსულმანები, ვინაიდან, ეს უკანასკნელნი, თავისი ბუნებითა თუ ისტორიული გამოცდილებით, უფრო კეთილისმსურველები არიან რუსების მიმართ.

აზერბაიჯანელებს კარგი ისტორიული მეხსიერება გააჩნიათ და მემკვიდრეობითი პატივისცემა აქვთ გმირობის მიმართ. დღემდე ადიდებენ ლენქორანის გმირის – კოტლიარევსკის სახელს, რკინის ხელით რომ მართავდა მუსულმანურ ამიერკავკასიას. რა თქმა უნდა, კანცელარიის ბიუროკრატიულმა აპარატმა და ადგილობრივ მკვიდრთათვის მიუღებელმა სასამართლო პრაქტიკამ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ძლიერ დააზარალა რუსული პრესტიჟი, რის გამოც მუსულმანთა დღევანდელი განწყობა-მდგომარეობა და ჩვენდამი დამოკიდებულება აშკარად არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ნორმალური. ზოგიერთი წესი ეყრდნობა ისტორიულ მეხსიერებას, მაგრამ ისე, რომ ჩვენ ახლა ვხარჯავთ ჩვენი ბრძენი წინაპრების მიერ კავკასიაში მოხვეჭილ სიყვარულს, ბატონ-ყმობის გადავარდნის რეფორმისმერმინდელი კავკასიის მხარის ცხოვრება კი იქით არის მიმართული, რომ თითქოს მხარს ვუჭერთ უცხოსხეულოვან ელემენტებში არსებული განცალკევებულობის მიდრეკილებას, რითაც ხელოვნურად უკუაგდებთ ჩვენი ძალების რწმენის მქონე ყველა ხალხს და საქმე მიგვყავს სისხლიან გართულებამდე.

ჩვენს ქვეშემრდომ აზერბაიჯანელ თათრებს ბედი არ სწყალობდათ. თვით თავადმა ვორონცოვმაც კი, რომელმაც თავისი პირადი შეხედულებების წყალობით დაიმსახურა შემოქმედი მეფისნაცვლის სახელი, დაუშვა დიდი შეცდომა, როცა დააწესა ბატონყმობა იქ, სადაც იგი არასოდეს ყოფილა და შეეცადა თათარ დიდგვაროვანთა წინა პლანზე წამოწევას. მაგრამ, ბოლომდე არც ეს შეცდომა იქნა მიყვანილი, და დღემდე, ამიერკავკასიის მუსულმანური მოსახლეობა, ყოვლად გაუმართლებელი მიზეზების ძალით, მიწების საგვარეულო მიკუთვნების საკითხში ქაოსისთვისაა განწირული.

თითქოს წინასწარგააზრებულად, ბევრი რამ კეთდებოდა და კვლავაც ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ამ მოსახლეობას გავუძნელოთ მშვიდობიანი ცხოვრება და კულტურის ახალ ფორმებთან ზიარების პროცესი. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საადგილმამულო-საგვარეულო კომისიას არაფერი გაუკეთებია, გაუქმდა და მისი საქმეები გადაეცა საქალაქო მმართველობის კანცელარიას კავკასიაში, კერძოდ, მის სამხედრო-სახალხო სამმართველოს. საქმეების წინსვლის თაობაზე არც იქიდან ისმის რამე. ამასთან ერთად კი გაუგებრობის საშინელი ორომტრიალი დგას: ბატონყმობა გაუქმდა, მუსულმანი გლეხები იძულებით დამოკიდებულებაში დარჩნენ ბეგებთან, მამულები კი არ არის განაწილებული; ყოველ ნაბიჯზე გაუგებრობას ვაწყდებით, რაც ფაქტიურად ემსახურება ადგილობრივ პატარა ხელისუფალთ და მათი დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევს.

მემკვიდრეობითი უფლებების საქმეში არსებული გაუგებრობები ეკონომიკასა და ადამიანების ყოფაში მძიმე კვალს სტოვებენ. მთელი რიგი გარემოებების ძალით, რაც გამოწვეული იყო ბატონყმობის გაუქმებითა და ცხოვრების თანდათანობითი გაძვირებით, პატრიარქალური წყობიდან გამხრწნელ-ბურჟუაზიულზე გადასვლით, ადგილობრივ ბეგებსა და აღალარებს, ესე იგი, ადგილობრივ მიწათმოქმედებს ძალიან დასჭირდათ კრედიტი. მაგრამ, ვიდრე ისინი არ განეკუთვნებიან თავადაზნაურთა წრეს, სათავადაზნაურო ბანკის კრედიტებით ვერ ისარგებლებენ, საგლეხო ბანკები კი ჯერ დაფუძნებული არ არის. ამიტომაც, რუსული წინდაუხედავი ხელისუფლების წყალობით, მთელი მოსახლეობა სომეხი მევახშეების მოქნილ ხელებში აღმოჩნდა, თუ ამას შევუფარდებთ საგვარეულო-საადგილმამულო კომისიის უმოქმედობას, მაშინ ძნელი არ იქნება იმ ცხოვრებისეულად მართალი და სავსებით ლოგიკური დასკვნის გაკეთება, რომ ***სწორედ სომხურმა პლუტოკრატიამ, რომელსაც ხელს აძლევს ამგვარი არანორმალური მდგომარეობა, ადგილობრივ ორგანოებზე და ცალკეულ უსინდისო მოსამსახურეებზე თავისი გამხრწნელი გავლენით შეინარჩუნა ეს არანორმალური მდგომარეობა***, რამაც მათ დიდი მოგება მოუტანა. მუსულმანი ბეკი, რომელიც საქართველოს მეფის კარზე დიდ თანამდებობას ფლობდა, შემდეგ კი რუსული არმიის ოფიცერი იყო, ვერ ახერხებს ხაზინის ხარჯზე შვილის კადეტთა კორპუსში ჩარიცხვას, ვიდრე თავის საგვარეულო უფლებებს არ გაარკვევს. მაღალი საგვარეულოს წარმომადგენლებს, ბეგებსა და აღალარებს სამხედრო სამსახურისადმი მიდრეკილება გააჩნიათ; მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი უმწიკვლოდ და წარჩინებით ასრულებენ სამხედრო მოვალეობას, მაინც არ თავისუფლდებიან მუსულმანურ მოსახლეობაზე დაწესებული გადასახადისაგან, რომელსაც ისინი იხდიან სამხედრო ბეგარისაგან თავდასახსნელად.

გაგრძელება იქნება

ნიველირება – აი, პირველი რის სიყვარულიც მას უსწავლია!



გაზეთ **„ლიტერატურულ საქართველოში“** (№17, 2006 წ.) გამოქვეყნდა ბატონ ვიქტორ რცხილაძის წერილი **„პირწავარდნილი სეპარატიზმი?“**

გამეხარდა. ვიფიქრე, ახლა კი გვეშველა, აფხაზ და ოს სეპარატისტებს კუდით ქვას ვასროლინებთ-მეთქი! მაგრამ... იმედი გამიცრუვდა! წერილში ლაპარაკია მეგრულ სეპარატიზმზე, თანაც **„პირწავარდნილ“** სეპარატიზმზე!

შერლოკ ჰოლმსისეული დედუქციის მეთოდით შეიარაღებული ვიქტორ რცხილაძე ვიღაცეებისთვის ჯერ კიდევ ბნელით მოსილი აფხაზეთის ომის დაწყებასა და წაგებას ნათელს ჰფენს – საზოგადოებას მთავარ დამნაშავეს წარუდგენს... იმ განსხვავებით, რომ თუ შერლოკ ჰოლმსი კონკრეტულ დამნაშავეს მოძებნიდა და მართლმსაჯულებას გადასცემდა, ვიქტორ რცხილაზე, მისგან განსხვავებით, უფრო მასშტაბურად მოქმედებს, ერთი ან რამდენიმე დამნაშავის მხილების მაგიერ აფხაზეთის დაკარგვის მთავარ დამნაშავედ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასა და სამეგრელოს მოსახლეობას მიიჩნევს.

თურმე, ბანდიტების მიერ დამხობილი ეროვნული ხელისუფლება და მეგრელები ყოფილან აფხაზეთის ომის ინსპირატორები და ამ ომის წაგების სულისჩამდგმელები. სხვა არავინ! სწორედაც რომ ეროვნული ხელისუფლება და მეგრული სეპარატიზმი!

რადგან რცხილაძე ლაპარაკობს დამხობილი კანონიერი ხელისუფლების დალატზე და მეგრულ სეპარატიზმზე, გადავწყვიტე უომედოდ თავდაჯერებული ადამიანის დარწმუნება იმაში, რომ იგი ცდება! რომ მეგრული სეპარატიზმის აკვიატებული შიში და ზვიად გამსახურდიასადმი პათოლოგიური სიძულვილი გამოწვეულია ბატონ ვიქტორის დისიდენტობის დროინდელი და მისი შემდგომი პერიოდის მოვლენათა მძიმე ფსიქიკური ტრავმებისგან. როგორც ხშირად ხდება ამგვარი ტრავმები თავს ქვეცნობიერს აფარებენ და იქიდან იწვევენ ილუზურ აღქმებს, აკვიატებულ შიშებს, ლოგიკური აზროვნების დეფორმაციას, ბოდვებს... როგორც წმიდა მამები აღნიშნავენ, ადამიანის სულს სატანა ეუფლება!

მართალია, შერლოკ ჰოლმსი დედუქციურ მეთოდს ჭეშმარიტების დადგენამდე მიჰყავდა, მაგრამ ბატონ რცხილაძეს ეს მეთოდი ჭეშმარიტებას აშორებს, იმის გამო, რომ მცდარ წინამძღვრებს ეყრდნობა, ფაქტებს ამახინჯებს.

რცხილაძეს მეგრული სეპარატიზმის ერთ-ერთ მამხილებელ ფაქტად გალის სტამბის დირექტორის, **„უსათნოესი ახალგაზრდა ქალბატონის“** (ასე ახასიათებს მოწმეს) სიტყვები მოაქვს. ეს ქალბატონი 1993 წლის დასაწყისში მასთან, როგორც საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის თანამდებობის პირთან მისულა და შეუჩივლია: **„არ უნდათ, ბატონო, ეს ქართული შრიფტი, სტამბა ღამით რამდენჯერმე დაანგრიეს და მოსპესო.“**

ეს ფაქტი მეგრელთა სეპარატიზმის სამხილად არ გამოდგება.

გალის სტამბა მოთარეშე შეიარაღებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა დაანგრიეს!

არის თუ არა ეს ფაქტის დამახინჯება აკვიატებული ბოდვის გამართლების მიზნით?

მეორე ფაქტი ასეთია: ვიქტორ რცხილაძეს ხობის სტამბის დირექტორისთვის უკითხავს, მართალია თუ არა ის, რომ სამოქალაქო ომის დროს სამეგრელოს ჩეჩნები მოედვნენო?

ხელქვეითი თავის მრისხანე უფროსს უდასტურებს: დიახ, ხმა გავარდა, რომ ჩეჩნები სამეგრელოში ჩამოვიდნენო.

საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ ბაგრამიანის ბატალიონი, კაზაკები, რუსები, კონფედერაციის ბანდები და ის ჩეჩნები, რომლებიც იჩქერიის თავისუფლებისთვის კი არ იბრძოდნენ გენერალ დუდაევის მხარდამხარ, არამედ რუსეთის იმპერიის ინტერესებისთვის, ისევე როგორც ძითა და შვილით დაბოლოებული გვარის მქონე აფხაზეთში მცხოვრები მოღალატე ქართველები.

ასე, რომ ხსენებული ჩეჩნების სამეგრელოში **“მოდება”** არ შეიძლება სამეგრელოს რეგიონის **“ღალატის”**, **“საბოტაჟის”** და მეგრელთა სეპარატიზმის მამხილებელ ფაქტად გამოდგეს.

ბატონი რცხილაძე ომის დროს მეგრელთა **“საბოტაჟს”** შემდეგნაირად ხსნის: **“სამეგრელოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გაჭრა უსინდისო პროპაგანდამ, რომ გამსახურდია პრეზიდენტის სავარძლიდან გადააგდეს იმის გამო, რომ იგი მეგრელი იყო და არა იმიტომ, რომ იგი უვარგისი მმართველი გახლდათ.”**

“მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში” იგულისხმება დიდი ნაწილი, რადგან მცირე ნაწილი ვერ შეძლებდა **“სამეგრელოში არსებული ვითარების”** შექმნას, რაც აფხაზეთის ომის დაწყებას გამოწვევდა.

ასე და ამგვარად, რცხილაძეს მეგრელთა უმრავლესობა ისეთ ჩამორჩენილ ადამიანებად მიაჩნია, რომლებიც პრიმიტიულ **“უსინდისო პროპაგანდას”** წამოეგნენ, რომლებიც მხოლოდ მეგრული გვარის გულისთვის იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, რომ მათ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისთვის, მათ ერთგულებას კანონიერი, ეროვნული ხელისუფლებისადმი წარმართავდა ვიწრო კუთხურ-კლანური ინტერესები და არა ღვთივკურთხეული პატრიოტიზმი.

ვინც რცხილაძისეულად ფიქრობს და აზროვნებს, მინდა შევახსენო ის, რომ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ წლების მანძილზე გრძელდებოდა საპროტესტო მანიფესტაციები, მიტინგები, სადაც ასეულათასობით ადამიანი მონაწილეობდა დამხობილი კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით და რომ ეს საპროტესტო გამოსვლები დაუნდობლად იხვრიტებოდა!

საკითხავია, ნუთუ ეს ასიათასობით ადამიანი ყველა **“უსინდისო პროპაგანდისგან”** მოტყუებული მეგრელი იყო?

რა თქმა უნდა, არა. სისხლიანი რეპრესიების მიუხედავად საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა კუთხის შვილები: კახელები, აჭარლები, სვანები, ქართლელები, იმერლები, გურულები, ხევსურები, თუშები, ფშავლები, მესხები, რაჭველები... და მათ შორის მეგრელები!

მთავარმა პუტჩისტმა შევარდნაძემ დახმარებისთვის იმ ქვეყნის ჯარი შემოიყვანა, რომელიც აფხაზ სეპარატისტებს აქეზებდა, აიარაღებდა და მხარს უჭერდა; იმ ქვეყნის ჯარი, რომელმაც აფხაზეთი წაგვართვა.

შევარდნაძეს ტახტის შესანარჩუნებლად რუსეთის შეიარაღებული ძალები უანგაროდ არ დაეხმარებოდა. მოხდა გარიგება: **აფხაზეთი რუსეთს, საქართველოში ძალაუფლება პუტჩისტებს!**

არის თუ არა ეს სამშობლოს ღალატი?

რა თქმა უნდა სამშობლოს ღალატია, მაგრამ რცხილაძე ჩვეული უტიფრობით შევარდნაძეს ამართლებს. იგი წერს: **„საქართველოში არსებული ვითარება იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აფხაზეთში ომის წაგებისა.“**

აი, რას ამბობდა აფხაზეთის ომის შესახებ ბატონი თამაზ ნადარეიშვილი გაზეთ **„ეროვნული თანხმობისთვის“ (№7, 2003 წ.)** მიცემულ ინტერვიუში: **„აფხაზეთის ომი დაიწყო არა 1992 წლის 14 აგვისტოს, არამედ 1991 წლის 22 დეკემბერს, როცა მოხდა ეროვნული ხელისუფლების სამხედრო ძალით დამხობა! აი, ეს იყო მიზეზი აფხაზეთის დაკარგვისა...“**

ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ თამაზ ნადარეიშვილი ზვიადისტი არ იყო... არც იმის მტკიცებაა საჭირო, რომ ბატონმა თამაზმა გაცილებით მეტი იცოდა აფხაზეთში განვითარებული მოვლენების მიზეზთა შესახებ, ვიდრე რცხილაძემ.

ფსიქიატრიის სახელმძღვანელოშია შესატანი წაკითხულის **„ლოგიკური“** შეფასების და **„ადეკვატური“** რეაგირების შემდეგი ნიმუში რცხილაძის ხარჩილავასთან **„პაექრობიდან“**. ვახტანგ ხარჩილავა წერს: **„საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა უნდა დაინგრეს და უნდა შეიქმნას თვისობრივად და შინაარსობრივად ახალი ქართული სახელმწიფო.“**

ამ წინადადების წამკითხავ რცხილაძეს სხვა რამ ელანდება: საბჭოთა საქართველოს დანგრევა საქართველოს რესპუბლიკის დანგრევას ნიშნავსო!!!

ამის არგუმენტი?

„აქ საკმარისია სიტყვა „საბჭოთა“ ამოვიღოთ (რომელიც თავის დროზეც არაფრისმთქმელი იყო) და შეგვრჩება: „საქართველოს რესპუბლიკა უნდა დაინგრეს“ – წერს რცხილაძე.

შეიძლება ეს არგუმენტი **„მაგარია“**, მაგრამ კითხვები მებადება: რატომ ამოვიღოთ სიტყვა **„საბჭოთა“**? რატომ იყო **„საბჭოთა“** თავის დროზეც არაფრისმთქმელი, მაშინ როცა **„საბჭოთა“** აზანზარებდა არა მარტო რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიას, არამედ ევროპას და მთელ მსოფლიოსაც?

გასაგებია ის, რასაც ბატონი ვახტანგ ხარჩილავა წერს. საბჭოთა საქართველოს დანგრევა ნიშნავს იმ იდეოლოგიის, ეკონომიკის მართვის იმ სისტემის მოშლას, რაც არსებითი იყო საბჭოთა საქართველოსთვის და არა მარტო საქართველოსთვის, არამედ საბჭოთა კავშირისთვის.

რცხილაძე წერს: აფხაზი, ოსი და სომეხი სეპარატისტები გაჰყვირიან **“ჩვენ საბჭოთა საქართველოში ვიყავით ერთად, ხოლო მას შემდეგ, რაც “საბჭოეთი” აღარ არსებობს, საქართველოსთან აღარაფერი გვესაქმებაო... ამ ფონზე კი ხარჩილავა გვარწმუნებს: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა უნდა დაინგრეს...“**

ამ აბდაუბდას ყოფილი დისიდენტი და ამჟამად მორჭმით მჯდომარე **„მეცნიერი“** და **„თეოლოგი“** რედაქტორი წერს.

დისიდენტები საბჭოთა მმართველობას, საბჭოურ კომუნისტურ რეჟიმს ებრძოდნენ... ამასთანავე ქართველ დისიდენტებს სურდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება, საქართველოს გამოსვლა საბჭოთა სივრციდან... რა გამოვიდა? რცხილაძის ჭკუით ქართველ ერს აფხაზი, ოსი და სომეხი სეპარატისტების შიშით სახელმწიფო დამოუკიდებლობა არ უნდა მოეპოვებინა და დარჩენილიყო საბჭოთა საქართველოდ?

ღმერთო, იხსენი საქართველო ასეთი დისიდენტებისგან!

ვიქტორ რცხილაძე ქართველი ერის გასაერთიანებლად უცხოელ ავტორთა რეკომენდაცია-პანაცეასაც გვთავაზობს: 1882 წელს თურმე ერნესტ რენანი ფრანგებს მოუწოდებდა ერის გაერთიანების ინტერესებიდან გამომდინარე **“უარი ეთქვათ ეთნოგრაფიულ და ეთნოლოგიურ გამოკვლევებზე”**. უფრო მეტიც, **“ისტორიის დავიწყება ან მისი დამახინჯება გვევლინება მთავარ ფაქტორად ნაციის ფორმირებისთვის, რის გამოც ისტორიულ გამოკვლევათა პროგრესი ხშირად შეიცავს ხიფათს ნაციონალობისთვის.”**

როგორც ვხედავთ, რცხილაძე ილია ჭავჭავაძის ცნობილ დებულებას ერის ისტორიის ცოდნის მნიშვნელობის შესახებ არაფრად აგდებს და უპირატესობას უცხოელების რეკომენდაციებს ანიჭებს (იქნებ ამიტომაც ამტკიცებენ ქართველი ნაცები – საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყებაო).

ერნსტ რენანის ამგვარი **“რეკომენდაციები”** არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან უფრო **“მაგარი”** აზრებიც აქვს. მაგალითად, ნაშრომში **“ქრისტიანობის წარმოშობის ისტორია”** სახარება გააზრებული აქვს უფლის სასწაულების გარეშე!

არა მგონია ბედნიერი რენანის მოწოდება ფრანგებს გულთან ახლოს მიეტანოთ და საკუთარი ისტორია დაევიწყოთ ან დაემახინჯებიოთ... რაღა მაინც და მაინც ქართველებს **“გაგვაერთიანებს”** ჩვენი ისტორიის დავიწყება და დამახინჯება?

რა ვუყოთ ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, სერგი მაკალათიას, ვერა ბარდაველიძის და სხვათა და სხვათა ნაშრომებს? გადავყაროთ? დავივიწყოთ თუ დავამახინჯოთ?

ბედნიერი ვიქტორ რცხილაძე თანამედროვე ამერიკელი მკვლევარის ე. გელნერის **“სიბრძნითაც”** გვმოძღვრავს: **“ნაციონალურ ერთობას რომ მივაღწიოთ, საჭიროა ნიველირება რეგიონული დიალექტებისა და კულტურის თავისებურებების. ამიტომ, ეთნოლოგია პრინციპში არ გვევლინება ნაციონალიზმის მსახურად.”**

ისტორიულ გამოკვლევათა პროგრესის რეგრესად გამოცხადება, კულტურის თავისებურებათა ნიველირება, ერის გაზონის ბალახივით გაკრეჭა, ერის ისტორიის საგანგებოდ დავიწყება და დამახინჯება... ეს ხომ მასონ-გლობალისტთა გეგმის **“მეცნიერული”** დასაბუთებაა!

ნიველირება ხომ **“გაამერიკელებას”** ნიშნავს, ანუ ერის გაამერიკელებას...

ასე და ამგვარად, ვიქტორ რცხილაძე საქართველოს პირველი პრეზიდენტის, კანონიერი ეროვნული ხელისუფლების და მისი ერთგული ამომრჩევლების **“ღალატის”**, **“საბოტაჟის”** და **“სეპარატიზმის”** მხილების დაუოკებელმა სურვილმა ძალზე შორს შეატოპა. მან მწვანე შუქი აუნთო მასონური **“ნიველირების”** გეგმის საქართველოში განხორციელებას.

ასე იცის უცხოელ **“ავტორიტეტთა”** გვარებისა და მათი **“სიბრძნის”** ცოდნით კეკლუცობამ, რაც ჩვენი **“ელიტის”** ტიპურ წარმომადგენელს ვიქტორ რცხილაძეს ინტელექტის კრიტერიუმად მიაჩნია.

მეცხრამეტე საუკუნეში ცარიზმის აგენტურა მეგრული სეპარატიზმის ჩასახვასა და აგორებას ცდილობდა, მაგრამ დიდმა ილიამ სამეგრელოში საქართველოს სიძლიერე დაინახა...

მეოცე საუკუნეში კრემლი ცდილობდა მეგრული საქმის აგორებას სისხლიანი რეპრესიებით....

ოცდამეერთე საუკუნეში **“პროგრესი”** თვალსაჩინოა: თვით ქართველები რცხილაძის სახით ეძებენ არარსებულ მეგრულ სეპარატიზმს...

როგორი იქნება ოცდამეორე საუკუნე?

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში რეალურად არსებულ მეხუთე კოლონას, სატანისგან აბორგებულთა კბილთა ღრჭენასა და გესლის ნთხევას, გაუთავებელ ცილისწამებებს და მაგიურ წყევლას, ბედკრული სამშობლოს სიცოცხლის ხეს ჭეშმარიტად დიდი საფრთხე ემუქრება...

თენგიზ კუბლაშვილი

რა იცი სამეგრელოზე?

მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი ცხადყოფს, რომ **ბიჭვინთა,** რომელიც აფხაზეთში, შავი ზღვის პირას მდებარეობს, გვიანდელ ანტიკურ ხანაში მძლავრ კულტურულ და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. ნაქალაქარის გარეთ, გალავნით შემოზღუდულ ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქრისტიანული სატაძარო უბანი. აქ არის მეხუთე საუკუნით დათარიღებული დიდი ტაძრის – სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, რომელსაც შვერილი ხუთწახნაგოვანი აფსიდა ჰქონია. შუა ფართო ნავი გვერდის ნავებისაგან ხუთი წყვილი ბურჯით იყო გამოყოფილი, დასავლეთის მხრიდან ტაძარს ნართექსი ეკვროდა, რომელიც ნავებს სამი შესასვლელით უკავშირდებოდა. როგორც ჩანს, ტაძარი აუგიათ უფრო ძველი, მეოთხე საუკუნის ბაზილიკის ნანგრევებზე, რომელიც უფრო დიდი ზომისაც ყოფილა და მეტად მდიდრულად მორთულიც.

მეათე საუკუნის დასასრულისა და მეთერმეტე საუკუნის დასაწყისში აგებული **ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი** გუდაუთის რაიონში, შავი ზღვისპირა დაბლობზე მდებარეობს. ჯვარგუმბათოვანი გეგმის ნაგებობას აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდა აქვს. მოგვიანებით, დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით ტაძრისათვის ღია ეგვტერები მიუშენებიათ. ფასადები მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ქვის კვადრებით. ტაძარი მოკლებულია მორთულობას, რითაც უფრო თვალსაჩინო ხდება პროპორციების დახვეწილობა და მისი ჰარმონიულობა. ტაძრისა და ეგვტერის შიდა კედლები მთლიანად ყოფილა მოხატული (შემორჩენილია ფრაგმენტები). მოხატულობა გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით, რამდენადმე წაგრძელებული ფიგურის დინამიკურობითა და ექსპრესიულობით, ატარებს პალეოლოგოსთა სტილის ნიშნებს (მკვეთრად გამოხატული ელინისტური ელემენტები).

მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში აგებული ცენტრალურ-გუმბათოვანი **წალენჯიხის ტაძარი** მდებარეობს ქალაქ წალენჯიხის განაპირას, მაღალ გორაკზე. მას სამივე მხრიდან გარსშემოსასვლელები აქვს, რომელთაგან სამხრეთისა და, ნაწილობრივ, ჩრდილოეთისაც გადაკეთებულია დადიანთა საგვარეულო ეგვტერად. გალავანში ჩრდილო-დასავლეთით ჩაშენებულია ორსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველ სართულზე ალაყაფის კარია. გალავნის გარეთ დადიანის სასახლეთა და სხვა ნაგებობათა ნაშთებია. ტაძრის დასავლეთით 40-45 მეტრი სიგრძის გვირაბია გაყვანილი. ქართული და ბერძნული წარწერების თანახმად, ტაძრის ინტერიერი, სამეგრელოს მთავარ ვამეყ დადიანის (1384-1396) ბრძანებით მოუხატავს კონსტანტინეპოლიდან მოწვეულ მხატვარს კირმანუელ ევგენიკოსს.

ეგვტერების სხვადასხვა დროის მოხატულობებზე (მეთექვსმეტე-მეცხრამეტე საუკუნეები) აღბეჭდილია მრავალრიცხოვან საერო პირთა გამოსახულებები (მათ შორის ლევან მეორე დადიანის საოჯახო პორტრეტი მისივე ეგვტერის სამხრეთ კედელზე). წალენჯიხა ერთ-ერთი საგანმანათლებლო კერაც იყო სამეგრელოში. აქ მოღვაწეობდა არაერთი მწიგნობარი. მათგან ცნობილია მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწე ზებედე წინამძღვარი რომელიც შემდეგ ალავერდელი მთავარეპისკოპოსი გახდა. ილარიონ მოძღვართმოძღვარმა კი **"ქუეყანას ოდიშსა და მონასტერსა წალენჯიხისასა"** გაბრიელ ბოკუჩავას გადააწერინა კურთხევანი (1667 წელი).

მაცხვარიშის ერთნავიანი ეკლესია მეთერთმეტე საუკუნის დასასრულსა და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. იგი სოფელ მაცხვარიშის მახლობლად, გორაკზეა ამაყად აღმართული და მდინარე მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში მდებარეობს. ეკლესიას თავდაპირველად სამხრეთიდან გარს შემოსასვლელი ჰქონია (ამჟამად დარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი). შიგნით კედელკამარიანადაა მოხატული. წარწერიდან ირკვევა, რომ კედლები მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში მიქაელ მაღლაკელს მოუხატავს. ეკლესიის გვერდით მდებარე სამრეკლო მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებს მიეკუთვნება.

მეთერთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში აიგო **ილორის წმინდა გიორგის ეკლესია**. იგი დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა, მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში. პროპორციული მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკით ნაგებობათა იმ წრეს განეკუთვნება, რომელშიც ჩანს საქართველოს შუა საუკუნეების მხატვრული მისწრაფებანი. ეკლესია აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთით სხვადასხვა ხანის მინაშენები აქვს.

ხობის ტაძარი მეცამეტე საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება. ეკლესია ქალაქიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. გეგმით უგუმბათო ნაგებობის შიგნით ჯვაროვან სივრცეს კამარები ქმნიან, გარედან კი ჯვაროვანი მოცულობა მათი სახურავებითაა შექმნილი. ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები თავდაპირველად ცალკე ეგვტერებად იყო გამოყოფილი. მოგვიანებით კედლები გამოიღეს და ეგვტერები მთავარ სივრცეს დაუკავშირეს. დასავლეთ და სამხრეთ ფასადებს, მთელ სიგრძეზე მიუყვება ნაწილ-ნაწილ მიშენებული ღია გალერეა, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში (სამხრეთ მონაკვეთის) აფსიდიანი ეკვდერია მოთავსებული. მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს სამეგრელოს მთავარმა ვამეყ დადიანმა (1384-1396) ეგვტერი საგვარეულო საძვალედ გადაკეთდა, კედლები ბიზანტიური მარმარილოს ფილებით ამოაშენა და მოახატვინა (ამას გვამცნობს შესასვლელის თავზე მოთავსებული ვრცელი წარწერა). თვით ეკლესიის მოხატულობის (მეცამეტე-მეთოთხმეტე) დიდი ნაწილი საღვთო წერილის სცენებს ეთმობა, ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში შემონახულია ისტორიულ პირთა – ქტიტორების ვამეყ დადიანისა და მისი მეუღლის, მარეხის გამოსახულება. მოხატულობა შესრულებულია პალეოლოგოსთა ხანისთვის დამახასიათებელი მანერით და ახლოს დგას წალენჯიხის ტაძრის მხატვრულ ტრადიციებთან. ნიჭიერი მხატვრის ვინაობა უცნობია. ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებს მოწმობს ხელნაწერთა კოლექცია, რომელიც ხობის მონასტერშია შექმნილი.

ბედიის მონასტერი ოჩამჩირის რაიონში, ცენტრიდან დაახლოებით 25 კილომეტრზე მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსის ძირითადი ნაგებობაა საკათედრო ტაძარი – ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში. მონასტერი ააგო და კათედრალი დააარსა საქართველოს მეფე ბაგრატ მესამემ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეთა მიჯნაზე. ახლანდელი ნაგებობა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებს განეკუთვნება. ტაძარი გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია სამი შესასვლელითა და ვიწრო გვერდის ნავებით. გუმბათი დაყრდნობილია ორ ბურჯსა და საკურთხევლის კედლების კუთხეებზე. აღმოსავლეთის ფასადზე ორი მცირე ნიშია. ფასადები კარგად გათლილი ქვითაა მოპირკეთებული. შიგნით წყობა უხეშია. კედლების მოხატვა კი იმთავითვე ყოფილა გათვალისწინებული, რასაც მოწმობს ტაძარში შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტები. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულია ქტიტორი ბაგრატ მესამე (ეკლესიის მოდელით ხელში) და დადიანთა გვარის წარმომადგენლები, ალბათ, ადგილობრივი ფეოდალის ოჯახი. მოხატულობა სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენას განეკუთვნება – მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებს და უფრო ადრინდელ ხანას (ზოგი მკვლევარის აზრით, მეთერთმეტე საუკუნის ფენაც შეინიშნება). მონასტრის დასავლეთ მხარეს საკმაოდ დიდი სასახლეა, ხოლო ჩრდილო შესასვლელი კარის თავზე მეთოთხმეტე საუკუნის სამრეკლო.

ბედიელმა მღვდელმთავრებმა კარგი წიგნსაცავი შექმნეს. ისინი თავადაც მონაწილეობდნენ ხელნაწერთა მომზადებაში. მიტროპოლიტს გერმანე ჩხეტიძის (მეთექვსმეტე საუკუნე) ინიციატივით გადაიწერა გულანი გაბრიელ ლომსაძის, ამბროსი კარგარეთელის, საბა ნიფოტაძის და სხვათა მიერ. საქვეყნოდ ცნობილია აგრეთვე ბიბლიოფილის ბედიელი მთავარეპისკოპოს ანტონ ჟვანიას სახელიც (მეთექვსმეტე საუკუნე).

სამეგრელოში თბილი ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. ზამთარი დაბლობ ნაწილში საკმაოდ სამეგრელო მაღალი ღრუბლიანობით გამოირჩევა, შესაბამისად უხვნალექიანია. ნალექების წლიური ჯამი 1400-3000 მმ-ის საზღვრებში ცვალებადობს. წელიწადში 10-50 დღე ნისლიანია. სამეგრელო გამოირჩევა მდინარეებისა და წყაროების სიუხვით. მის შავიზღვისპირა ნაწილში ჭაობებიცაა, მაგრამ მისი სიდიდე უკანასნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეებია ენგური, ჭანისწყალი, ტეხური, ოჩხამური. ტბებიდან ყველაზე დიდია პალიასტომი, რომლის სარკის ფართი 18,2 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. მაღალმთიანი ტბებიდან კი მცირე ზომის ტობავარჩხილი, რომელიც ზღვის დონიდან 2650 მეტრზე მდებარეობს. მდინარეები მდიდარია სხვადასხვა ჯიშის თევზებით, რომელთაგან განსაკუთრებით კალმახი და კეფალია პოპულარული. სამეგრელოს ტყეები სავსეა ნადირითა და ფრინველებით. სამეგრელოში ტყეები ნადირობის მოყვარულთათვის სასიამოვნო ასპარეზს წარმოადგენენ, რომელთაგან უნიკალურია რელიქტური ტყეები, სადაც ხელუხლებლადაა შემორჩენილი ბზის, ლაფნისა და ძელქვის კორომები, აგრეთვე, წაბლისა და წიფლის ტყეები. ასეთია მინგარიის (მარტვილის მიდამოებში), ლებარდეს, ასხის ტყეები. ქალაქების ფოთისა და ყულევის მიდამოებში არის სახელმწიფო ნაკრძალი, სადაც ცხოველთა ათობით ძვირფასი სახეობა მრავლდება და შესანიშნავად გრძნობს თავს.

მხარე გამოირჩევა მდინარეთა ხშირი ქსელით, რისი მიზეზითაც აქ ძალზე ბევრია ჭაობები და მომცრო ტბები. მდინარე ჯუმის მარცხენა მხარეზე, ურთას მთის ძირში მოედინება ქლორიან-ნატრიუმიანი მინერალური წყარო. რაიონში ასევე დიდი ფართობი უჭირავს სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგებს. ოდიშის პლატოზე ჩამოყალიბებულია წითელმიწა და გაეწრებული წითელმიწა ნიადაგები. ყველაზე დაბალ ადგილებში განვითარებულია ჭაობის ლამიანი, ტორფიან-ჭაობიანი და ეწერ-ლებიანი ნიადაგები. ტორფი კი, როგორც მოგეხსენებათ, ლამის უალტერნატივო მაღალფფექტური ორგანული სასუქი გახლავთ, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

რაიონში ბუნებრივი მცენარეულობა უმთავრესად შეცვლილია კულტურული მცენარეულობით, აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ტიპის ტყეები. შავი ზღვისპირა ზოლში გავრცელებულია ქვიშის ბალახეულობა და ბუჩქნარი, რომელსაც დაჭაობებულ დაბალ ადგილებში ცვლის მურყანის ტყეები. ოდიშის პლატოზე და შედარებით კარგად დრენირებულ დაბლობზე – ჭანისწყალის, ჯუმის და ჩხოუშის ზემოთში გვხვდება კოლხური ტიპის ტყეები, რომლის ძირითადი ჯიშებია: მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, ნეკერჩხალი, ლაფანი. ზოგან შემორჩენილია რელიქტიური მცენარე ძელქვა.

ამ ტყეებში მტაცებლებიდან ბინადრობს ტურა, ტყის კვერნა, ტყის კატა, მელა; ფრინველებიდან – ყორანი, რუხი ყვავი, ჭილყვავი, ჩხიკვი, მოლაღური, შაშვი, კოდალა, გუგული, ოფოფი, ქორი, ჭოტი, იხვი და სხვა. მდინარეებსა და წყალსაცავებში გავრცელებულია სალამურა, ლოქო, გველთევზა, ქარიყლაპია, ფარგა, ქორჭილა და სხვა.

რ. შალამბერიძე

სააკაშვილების და მერაბიშვილის საოჯახო ბიზნესი საწვავის ღირებულებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აწესებს

ეკონომიკური კრიზისი, უპირველესად, შავი ოქროს ბაზარზე აისახა. ნავთობის ფასის ვარდნამ მაგნატები შეაშფოთა და ცდილობდნენ ეს პროცესი როგორმე შეეჩერებინათ, თუმცა ამ მცდელობამ მათთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და უკანასკნელი კვირის მონაცემებით მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნავთობის ღირებულება კიდევ რამდენიმე დოლარით დაეცა. ქართულ ბაზარზე კი საწვავი გაძვირდა და მისი ღირებულება 1,50 ლარიდან 1,80 ლარამდე მერყეობს.

გიორგი გუგავა: – მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასი დაეცა, საქართველოში ფასების ცვალებადობა არ შეიმჩნევა. ეს დაკავშირებულია სააკაშვილის და მისი ოჯახის ბიზნეს-ინტერესებთან. **„სოკარი"** და **„ვისოლი"** მათი საკუთრებაა. შესაბამისად, ფასის გაზრდასთან ერთად იზრდება მათი ანგარიშებიც. ეს კი ხალხის ხარჯზე ხდება. როდესაც მსოფლიო ბაზარზე უმნიშვნელოდ ძვირდება ნავთობი, ჩვენთან საწვავის ფასი ორმაგდება. ამ პროცესს ხელს ვერავინ უშლის იმიტომ, რომ ეს კომპანიები სააკაშვილის პატრონაჟის ქვეშაა.

– თუმცა ქართულ ბაზარზე, ასევე, მნიშვნელოვანი წილი „ლუკოილს", „რომპეტროლს" და „ეკოს" ეკუთვნის.

– 60 პროცენტი უჭირავს **„სოკარს"**. ის, ამავე დროს, არის შემომტანი კომპანია; საკმაოდ სოლიდური პროცენტი (დაახლოებით 30 პროცენტი) **„ვისოლზე"** მოდის; **„რომპეტროლი"** კი მერაბიშვილის კომპანიაა და აქედან შემოსული თანხები მის ჯიბეში ილექება. გამომდინარე აქედან, პრაქტიკულად ხელოვნური მონოპოლიაა შექმნილი. თუ სხვა კომპანიები ბიზნეს-თამაშში არ აჰყვებიან მონოპოლისტურ კომპანიებს, ისინი საერთოდ ჩაიძირებიან. ეს არის სააკაშვილების და მერაბიშვილის საოჯახო ბიზნესი და ამიტომაც მოქმედებენ ასე თავისუფლად და საწვავის ფასებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აწესებენ.

ლეიბორისტების პოლიტიკური ფანტაზიის ნაყოფია თუ არა სააკაშვილის და მერაბიშვილის ბიზნეს-ინტერესები ნავთობში, საკამათოა, მაგრამ მონოპოლია მაინც არსებობს

დემურ გიორხელიძე:

– ვერ გეტყვით, კონკრეტულად ვისი ინტერესებია ამ სეგმენტში, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ საქმეში ქვეყნის პრეზიდენტის და მისი უახლოესი გარემოცვის ინტერესებია ჩადებული, თუმცა ამას ვერ დავადასტურებ. ამის მიზეზი ქართული ნავთობის ბაზარზე არსებული არაკონკურენტუნარიანი გარემოა. ამჟამად მსოფლიოში ნავთობის ფასი შარშანდელთან შედარებით თითქმის განახევრებულია, ჩვენთან კი საწვავის ფასი საერთაშორისო მაჩვენებლებთან შეუსაბამოა და ჩვენს ქვეყანაში მონოპოლიური მმართველობის შედეგია. არსებული ხელისუფლების პოლიტიკური ნება უნდა იყოს, შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება სტრუქტურა, რომელიც უფლებამოსილი იქნება, იურიდიული მტკიცებულების საფუძველზე აღძრას საქმე იმ სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც შემჩნეული იქნება ე.წ. კასტელურ გარიგებაში, ანუ შეთანხმებულ და ფორმალურად დაუსაბუთებელი ფასების რეგულირებაში. საქართველოს ხელისუფლება მონოპოლიის საშუალებას აძლევს ბიზნესს. ეს სხვადასხვა გზით ხდება, მიუხედავად იმისა, რა გზით არის წარმოშობილი ეს ბიზნესი. სხვა შემთხვევაა, როდესაც მონოპოლია კომუნალურ ბაზარზე წარმოიშობა და მეორე, როცა სხვა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნავთობის ბაზარზეა. ყველა სფეროს თავისი მიდგომა სჭირდება, რაც ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არ ხდება.

ჟურნალისტებმა „ვისოლისგან" ბოლო ერთი წლის მანძილზე საწვავზე ფასების ზრდა-კლების მონაცემები მოითხოვეს. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, აღნიშნული ინფორმაციის მომზადება დროს მოითხოვს და ამ ეტაპზე უარით გამოისტუმრეს.

„ლუკოილის" გენერალური დირექტორის მოადგილემ შავლეგ მიშველაძემ კი აღნიშნა:

– ეს ისეთი საკითხია, რომელზეც კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ეს საკმაოდ ვრცელი თემაა. ერთი რამ კი შემიძლია, გითხრათ – ნავთობის ღირებულება კი არ იკლებს, ყოველდღიურად მატულობს. შესაბამისად ეს საწვავზე ფასის ზრდას იწვევს. ამის დამადასტურებელი ციფრები და მონაცემები არსებობს. არ ვიცი, ვინ ავრცელებს ასეთ ინფორმაციას, ან ვინ რას ამბობს, მაგრამ ფაქტია, რომ ბარელი ნავთობის ფასი იზრდება. ნავთობკორპორაციაშიც არის ეს მონაცემები. რაც შეეხება ბიზნესში მონოპოლიას, ეს სხვა საკითხია და, ასევე, ვრცელი თემაა. თუ თქვენი სურვილი იქნება, მზად ვარ, უფრო დაწვრილებით გესაუბროთ.

საწვავის ფასების ზრდასა და კლებასთან დაკავშირებით „რუსთავი 2"-ის გადაცემა „ბიზნესკურიერის" ავტორსა და წამყვანს – აკაკი გოგიჩაიშვილს ვესაუბრეთ:

– ის გარემოება, რომ მსოფლიოში ერთი ბარელი ნავთობის ღირებულება მცირდება, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში ბენზინის თუ დიზელის ფასი უნდა შემცირდეს. გასულ წელს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი გაიზარდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში საწვავის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს, სავარაუდოდ, მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

არიან ადამიანები, რომლებიც ბიზნესინტერესებსა და მონოპოლიაში ნაკლებად ერკვევიან, მაგრამ საწვავის ღირებულების ზრდა მათ სოციალურ მდგომარეობაზე აისახება. კრიზისის გამო შემცირებული ხელფასების და შემოსავლების ფონზე, საზოგადოების გარკვეული ნაწილი იძულებულია, საკუთარი ავტომობილები ავტოფარეხებში დააყენონ და საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრონ, თუმცა მოსახლეობას იმის შიშიც აქვს, რომ საწვავის ფასის ასეთი მატება მგზავრობის ღირებულებაზეც იმოქმედებს.

ნანა ლაღაძიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

ხალხი ხმას არ იღებდა.

ვკითხე დეკანოზს და იმან მითხრა – მეცა და სხვა მღვდლებმა ხალხს წავუკითხეთ გამოგზავნილი პროკლამაციებიო.

მაშინ ხალხსა ვკითხევი:

– თუ ეს წაგიკითხეს, მე, ხელმწიფის დანიშნულმა კაცმა, რომ დაგიძახეთ გლეხებს, შეიარაღებულები რათ მოხვედით? იარაღი რიღასთვის გინდოდათ?

ხალხი სდუმდა.

შეუძლებლად მიმაჩნდა მაშინვე არ დამესაჯა ჩიქოვანების მიერ მოწყობილი მოღალატური საქმე. პირადად მათ რომ შევხებოდი, უშუალოდ, არ ივარგებდა, ეკატერინე ჩემის მხრით ამას პირად შეურაცხყოფად ჩათვლიდა, და ჩვენ კი კანონად გვქონდა დადებული – ეკატერინეს, რაც უნდა ყოფილიყო, მოვრიდებოდით; მაშასადამე, გვრჩებოდა მოვქცეულიყავით ისე, რომ ჩიქოვანები, თუნდაც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დაგვესაჯნა; თავიდათავი ის იყო, რომ მათთვის ისე შეგვეკრა ხელფეხი, რომ შემდეგში არ შესძლებოდათ ასეთის მიქარვის განმეორება და არ შეეცდინათ გლეხები, რომლებიც დაჩვეული იყვნენ მათ ყურისთხოვებას. ამ მოსაზრებათა გამო ვთხოვე ჩემს კეთილს დროშიონს ტუპიცას ჩემი თარჯიმანი დაეხმარებინა და ხალხის მწკრივიდან ყოველი მეცხრე კაცი გამოეყვანათ, გარშემო შემორტყმოდნენ და ოცდახუთჯერ წკნელი დაერტყათ; ის ხუთი, რომლებიც შეკრულები იყვნენ, გაწკეპვის შემდეგ წაეყვანათ სენაკის სატუსაღოში, და სენაკშივე გაეგზავნათ ჩამორთმეული იარაღი.

ეს ბრძანება სწრაფად ასრულდა და ასეთის სერიოზული ჭკუის სწავლების შემდეგ გლეხებმა მითხრეს – ახლა კი გვახსოვს, ბატონო და ვიცით, რა პროკლამაციას ბრძანებთო. დასასრულ ვუთხარი: ძალიანა მწყინს, რომ იძულებული ვიყავ თქვენი გაცნობა ასეთი უსიამოვნო ამბით დამეწყო-მეთქი, თავთავიანთ სახლებში გავუშვი.

ყოველივე ამის ასრულება, მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ისეთის ყოჩაღის ბიჭების დახმარებით, როგორებიც იყვნენ სახაზო ყაზახრუსები, და ჩემს მოქმედებას როგორც მაშინ, ისე ახლა ვთვლიდი და ვთვლი სრულებით მიზანშეწონილად. მაშინდებურად განწყობილ გლეხებს და განსაკუთრებით მთაადგილების მცხოვრებთ ასეთ შემთხვევებში უეჭველად სუსხი უნდა დასდგომოდათ. მე რომ კინჩხადან ისე წამოვსულიყავ, რომ იქაურები არ დამესაჯნა, ლაპარაკს დაიწყებდნენ ოლქის უფროსი გამოუგდიათ, მხდალი ყოფილა, შეჰშინებიაო, და რაკი სოფელი დავსაჯე, არც ასეთი ხმა გავრცელებულა. და საკვირველია, მე ოთხ წელზე მეტ ხანს ვიყავი აქ ოლქის უფროსად, თითქმის სათითაოდ გავიცანი კინჩხელი გლეხები და ჩემდამი საუკეთესოდ იყვნენ განწყობილნი სწორედ იმიტომ, რომ ყოველთვის მადლობით იხსენიებდნენ იმას, თუ რა სწრაფად და ენერგიულად გავუსწორდი თავიანთ დანაშაულისათვის. იმათ სავსებით შეიგნეს, თუ რა სახიფათო საქმეში უნდა გაეხვია ისინი ჩიქოვანებს და ან როგორ დაიღუპებოდნენ, ოლქის უფროსის წინააღმდეგ იარაღი რომ ეხმარათ; და ამ იარაღს უეჭველად იხმარდნენ, ყაზახრუსების ასეული რომ არ გამოჩენილიყო და მათი არ შეშინებოდათ. მაშინ ბევრ მათგანს, რა საჭიროა, ციმბირი არ ასცდებოდა.

კინჩხაში ეკზეკუციის მოხდენის შემდეგ გორდში მოვედი. ყაზახრუსების მომღერლები წინ მიგვიძღოდნენ. ამათი სიმღერები იმ ზომამდე მოეწონათ ეკატერინეს ბავშვებს, რომ ტუპიცასა ვსთხოვევი, დაექვეითებინა მომღერლები და ბავშვები გაერთოთ. ეკატერინეს ჩემს ჩამოსვლამდე გაეგო დაწვრილებით ჩემ მიერ გლეხების მორჯულების ამბავი. ცივად მადლობა მითხრა ენერგიულ საქციელისათვის. მეკი თავი შევიკავე და არაფერი ვუთხარი იმის შესახებ, თუ როგორ მოუცთათ ჩიქოვანებს თავიანთი მუხანათობა და მივახვედრე, რომ მათ მიერ საქმე გაზვიადებული იყო. ერთმანეთს ტკბილი სიტყვებით დავშორდით.

კინჩხის ამბავი, ჩიქოვანების მიერ შეთხზული, მარტო ერთი არ ყოფილა და მალე მას მეორე მოჰყვა – უფრო მსხვილი.

მთავარ სახლთუხუცესის ძმა, თავადი ივანე ჩიქოვანი, კაცი უგუნური, მეშფოთარი, მაგრამ გამბედავი და ბოროტი, შეუდგა გარშემო შემოეკრიბნა უკმაყოფილონი და აღემხედრებინა რუსების წინააღმდეგ, რომ ჯერ ხალხი აეჯანყებინა და მერე ჩვენც (რუსებიც) გაეძევებინა სამეგრელოდან. დიაღ რომ სულელური განზრახვა იყო, მაგრამ ამ განზრახვას თანამგრძნობად გაუხდა ჯგუფი ისეთისავე მეშფოთრებისა, როგორიც თვითონ იყო. კოლუბიაკინს შეატყობინეს, ზუგდიდის ოლქის სოფელ ზანაში შეკრებილა სამას კაცამდე სხვადასხვა ნაძირალებისა და განზრახვა აქვსთ ზუგდიდს დაეცნენო.

ნ. კოლუბიაკინმა სწრაფად იღონისძია წინდაწინვე ამ განზრახვის წინააღმდეგ, წაიყვანა ერთი როტა სახაზო ბატალიონისა და ასეული ყაზახრუსებისა და ზანისკენ გაემართა, მთაზე, ძველებურ ციხეში ჩაუსხდნენ მეამბოხენი და პირველათ იმათ ასტეხეს სროლა, როცა მომავალი ჯარი დაინახეს; მაშინ ყაზახრუსები შეიჭრნენ ციხეში, აჰკაფეს თხუთმეტიოდე კაცი, იმდენივე დასჭრეს, რის შემდეგ დანარჩენი მაწანწალები კურდღლებივით გაიფანტნენ. დაიჭირეს 50-მდე კაცი.

ივანე ჩიქოვანის მონაწილეობა ამ საქმეში აღმოჩენილ იქმნა, დაიჭირეს და დაუყოვნებლივ გადაასახლეს სამეგრელოდან ქ. ტამბოვში საცხოვრებლად.

6

ეს ეპიზოდი, რა თქმა უნდა, ყველას აალაპარაკებდა, რომ ის არ დაეჩრდილნა ერთს, თავის მნიშვნელობით, დიდ ფაქტს: ნადედოფლარს მოუვიდა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც, რა თქმა უნდა, გამოგზავნილი იყო თავად ბარიატინსკის წარდგენილობით. ხელმწიფე მოწყალე სიტყვებით იწვევდა ეკატერინეს თავის ბავშვებითურთ პეტერბურგში! გაწვევის მიზეზად ასახელებდა თავის სურვილს, ახლოს ჰყოლოდა მცირეწლოვანი მთავარი და თვალყური ედევნებინა მისი აღზრდისათვის.

აბა, რა თქმა უნდა, დედოფლის ყოველ ყოყმანს და გადაუწყვეტილობას ხელათ მოუღო ბოლო ამ რესკრიპტმა, და იმანაც გაგარინს გამოუცხადა, 25 ოქტომბერს გავალო და სთხოვდა მისთვის ხომალდი დაეხვედრებინა ფოთში, რადგან გადაეწყვიტა ოდესაზე წასულიყო. იმავე დროსვე გადასწყვიტა ეკატერინემ, თუ ვინ უნდა მიეწვია თავის მცირეწლოვან ბავშვების ქონების მზრუნველად. ჯერ თავისს ძმასა სთხოვა, თავად დავით ჭავჭავაძეს, და სიძეს, ბარონ ა.პ. ნიკოლაის, ეს მოვალეობა ეკისრნათ; მაგრამ როცა ამათ უარი სთქვეს, ეკატერინემ მთავარი გამგეობის საბჭოს წევრი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი აირჩია. დიმიტრი ყიფიანმა თავად ბარიატინსკის თანხმობით იკისრა მზრუნველობა და მაშინათვე ჩამოვიდა გორდში ეკატერინეს სანახავად. მათი თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ეკატერინემ მიანდო სახლთუხუცესს მზრუნველისათვის აღწერილობით ჩაებარებინა ყველა მამულები, ხოლო თვითონ ყიფიანსა სთხოვა ბარიატინსკისთვის ეცნობებინა, რომ სამეგრელო ჩემის შვილების საკუთრებას შეადგენს და აქაურ მიწების პატრონი თვინიერ მთავრისა სხვა არავინ არის-თქო. თავადები და აზნაურებიც მასვე, მთავარსვე, ეკუთვნიან, როგორც მიწებიც. ე.ი. ეკატერინემ თავის უფლებათა შესახებ იგივე აზრი განიმეორა, რა აზრისაც მისი განსვენებული ქმარი იყო; მაგრამ ძნელი იყო, მეგრელებს ეს თეორია ერწმუნებინათ: 60 წლის განმავლობაში უთავოდ მფლობელობის შემდეგ კნეინას მიერ წამოყენებული თეორია მეგრელთ საშინელ ძალადობად მიაჩნდათ.

ყიფიანი რომ წავიდა, სეუდგნენ მზადებას ეკატერინეს გასასტუმრებლად. წასვლამდე, სულ რაღაც ორი კვირა თუღა რჩებოდა. ჩვენის მხრით ეკატერინეს ყველაფრით დავეხმარენით; გორდიდან უნდა გამოსულიყო ოქტომბრის 24, დილაადრიანად; ღამეს გაათევდა ორპირში, ხოლო 25-ს ნავებით მდინარე რიონზე ფოთში ჩავიდოდა, სადაც გემი ელოდებოდა.

ეკატერინეს მგზავრობის შედგენილ მარშრუტის თანახმად, ოქტომბრის 23-ს მე უნდა ვყოფილიყავი გორდში, და იქიდან მეორე დღეს გამეცილებინა ორპირში. ამიტომ ამ დღეს დილაადრიანა ყაზახრუსების თანხლებით გამოვედი სენაკიდან და უკვე შუა გზაზე ვიყავი. ეკატერინეს გადაყვანისა და მისი ბარგის გადაზიდვისათვის ზრუნვა მე მხვდა წილად. ეს, სწორე მოგახსენოთ, მეტად მადარდებდა და მომავალ მგზავრობისათვის ყველაფრის დაწვრილებით მოფიქრებამ ისე გამიტაცა, რომ ბუნდად შევნიშნე შეხვედრილი ცხენოსანი, რომელმაც მდაბლად თავი დამიკრა და ამავე დროს ჩემს თარჯიმანს თავით ანიშნა – რაღაც უნდა გითხრაო. თარჯიმანი მასთან მივიდა, სულ ცოტა ხანს ელაპარაკა, მერე მოაბრუნა ცხენი და სწრაფად მოიჭრა ჩემთან. გავჩერდი.

– **“ქუთაისში საშინელი უბედურება მომხდარა,”** – მითხრა თარჯიმანმა,– **“კონსტანტინე დადეშქელიანს სატევრით აუჩეხნია თავადი გაგარინი”.**

ამ ამბავმა თავზარი დამცა; დავაძახებინე ცხენოსნისათვის, რომელიც სენაკელი ვაჭარი გამოდგა. და იმანაც განიმეორა თარჯიმანის ნათქვამი, როგორც უტყუარი ფაქტი, მაგრამ დაუმატა – დაწვრილებით ვერ მოვასწარი გამეგო, რათგან ძალიან მეჩქარებოდა ქუთაისიდან წამოსვლა, სადაც დიდი ჩოჩქოლი ჰქონდათ შემდგარიო. ეს ამბავი გუშინ მოხდა. მე კი გზაში შემაგვიანდა, რათგან ღამე ხონში ნათესავთან დავრჩი; დღეს დილით იქაც გავიგონე ეს ამბავიო. ვაჭარი გავაჩერევი და ვუბრძანევი ჩემთან ევლო, რომ ეს, შეიძლება ყალბი ხმა არ გავრცელებულიყო, და თვითონ მე საჩქაროთ გავექანე ცხენისწყალისკენ, სადაც იდგა ყაზახრუსთა პოსტი, იქიდან კი ქუთაისამდე 20 ვერსის მანძილიდა რჩებოდა. პოსტზე წერილი მივწერე მორიგე შტაბ-ოფიცერს ბერტიე დელაგარდის და ვსთხოვე ეცნობებინა, ეს საშინელი ამბავი მართალი იყო თუ არა და თან დაწვრილებით შეეტყობინებინა ყველაფერი.

თავადი გაგარინი, როგორც უფროსი და როგორც ადამიანი, ყველასგან დიდად პატივცემული იყო და ყველას მხურვალედ უყვარდა; ადამიანის სული და გული იყო. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეჰზარა გული ყველას ამ უბედურებამ. ყაზახრუსის გასტუმრების სემდეგ, მე ისევ გორდში წამოვედი. 7 ვერსი მიკლდა მისვლას, ისე ბუბუას-ხიდთან უკვე დავრწმუნდი, რომ ყველაფერი მართალი იყო. თურმე გაგარინის მეუღლე სტუმრადა ყოფილა ეკატერინესთან გორდში, როცა ეს ამბავი იქ გაგარინის კანცელარიის მმართველს იზიუმსკის ჩამოუტანია, და ორნივე – გაგარინის მეუღლე და ეკატერინე იზიუმსკისთან ერთად ქუთაისში გამოქანებულან, თვითონ ეკატერინე ოქტომბრის 23-ს იქიდან უნდა დაბრუნებულიყო. უნდა უეჭველად ბუბუას-ხიდზე გამოევლო და ამიტომ მე აქ დავრჩი და მის დაბრუნებას დავუწყევი ლოდინი.

ერთი-მეორეზე უფრო სერიოზული ამბავი საშინელის სისწრაფით ერთიმეორესა სცვლიდა და ერთი ამბავი წინანდელ ამბავს მნიშვნელობას უკარგავდა. ის იყო, ზანაში ჩიქოვანების აჯანყება ჩააქრეს, ისე ეს ამბავი დედოფლის მიერ მიღებულმა ხელმწიფის რესკრიპტმა დაავიწყა ყველას, და როცა ეკატერინე სამეგრელოდან გასასვლელად ემზადებოდა, ამ დიდი ფაქტის მნიშვნელობა სრულებით დაჩრდილა ვიცე-გუბერნატორის საშინელმა კატასტროფამ. ამ საზარელის ფაქტის წინაშე ყველაფერი დადუმდა და თვითონ დედოფალს, მომხდარ ამბით თავზარდაცემულს, დაავიწყდა თავისი პირადი საქმეები და უსიამოვნებანი და ქუთაისში გაქანდა... შუადამეს კარგა გადასული იყო, როცა ეკატერინე კარეტით ბუბუას-ხიდს მოადგა, თან მოჰყვებოდა გაგარინთან მყოფი განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე მ.ი. რომანოვი. ეკატერინე მეტისმეტად დაღლილი და შეწუხებული იყო, მომესალმა და ამის თქმა-და მოახერხა:

– ღმერთო, რა ვნახე... რა ვნახე!.. თქმაც არ შემიძლია, რა საშინელება იყო... მაგრამ დაწვრილებით ბ. რომანოვი გიამბობსთ, მე კი გორდში მიმეჩქარება. ხვალ გამოვდივარ. თქვენ ნუღარ შეწუხდებით ჩემს წამოსაყვანად, აქ დარჩით... ხვალ შევხვდებით ერთმანეთს.

მოართვეს ცხენი და მცირე ამალის თანხლებით გორდისაკენ გაემართა.

როცა მე და რომანოვი მარტოკანი დავრჩით დუქანში, სადაც ღამე უნდა გაგვეთია, მან დაწვრილებით მიამბო, როგორც მომხდარა ეს საშინელება, მე ამ ამბავს შემდეგს თავში მოვუთხრობ მკითხველს, აქ კი მხოლოდ ვიტყვი, რომ თავადი სატევრით დაჭრილი ყოფილა, ხელსა, გულსა და მუცელში; მისი გადარჩენის იმედი სრულებით არა ჰქონიათ. მოუკლავსთ თავადთან მყოფი განსაკუთრებით საქმეთა მოხელე და მისი დიდი მეგობარი ნიკოლოზ პეტრეს ძე ილინი და თარჯიმანი თალხან არდიშვილი, დაეჭრათ თავადის მზარეული მაქსიმე და სამი სოლდათი სახაზო ბატალიონისა. და ყველაფერი ეს ერთ კაცს ჩაუდენია.

როცა რომანოვმა თხრობა გაათავა, ჩვენ დიდხანს ვიყავით ჩუმათ, ისე გაგვთანგა ამ შეემაძრწუნებელმა ფაქტმა... სიჩუმე ისევ რომანოვმა დაარღვია. ლაპარაკი ფრანგულად დამიწყო, ალბათ იმისათვის, რომ მისი ნათქვამი ვერავის გაეგო, თუ ვინიცობაა ვინმე ყურს დაგვიგდებდა დუქნის თხელ კედლების მეორე მხრიდან.

მრგვალი მაგიდა

2008 წლის აგვისტო — ქართული სახელმწიფოებრიობის ტრაგედია

დასასრული

მომხდარი კონფლიქტები ევროპაში წლების მანძილზე გადაუჭრელ კონფლიქტებთან დააკავშირა და იმაზეც ისაუბრა, თუ როგორ დაანახა ქართული რეალობა ევროპელებს.

დასასრულ, მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ:

– რა იყო აგვისტოს ომი? ამ შემთხვევაში ორი შედეგი გვაქვს: საქართველომ დაკარგა ტერიტორიები, სამაგიეროდ, ხელისუფლებამ მიიღო გულუხვი ძღვენი ყბადაღებული ფინანსური დახმარებების სახით. მათ გარდა სხვას ვის დაეტყო, რომ ქვეყანამ დახმარება მიიღო? დომინირებს ამერიკული დიქტატი და ამერიკული გავლენა საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ნატო ისეთი ორგანიზაციაა, რომელშიც კი არ შედიხარ, არამედ გღებულობენ. უკვე რამდენიმე წელიწადია, ნატოში შესვლა ჩვენი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორია. თუკი ნატოში გღებულობენ, ე.ი. მას რაღაცაში სჭირდება, აბა, ისე რატომ მიგიღებს?! თუკი ამერიკელებს ჩვენი იქ შეყვანა უნდათ, ესე იგი ეს რაღაცაში სჭირდებათ. ამ დროს ლოგიკურად ჩნდება კითხვა: კარგი, ამერიკელებს სჭირდებათ, მაგრამ ჩვენ გვჭირდება? ეს კითხვა რომ არ გაჩნდეს, ამიტომ დაგვისვეს ხელისუფლებაში ყოვლად უზნეო, ამორალური ადამიანები, რომელთათვისაც წმინდა არაფერი არსებობს – არც სამშობლო, არც ღირსება და სხვა ამისთანა ცნებები. ასეთი ხალხი წამოგვასვეს თავზე და გვითხრეს, რომ ესენი იქნებიან ჩვენი ხელისუფლები. სწორედ ამ პოლიტიკის და ამ პროცესების ერთ-ერთი გამოძახილია აგვისტოს მოვლენები. ამასთან, ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ იკითხა, – კარგით, სააკაშვილი წავიდა, ვინ და რა ძალები მოდის? ჩვენ რომ საშველი დაგვადგეს და ჩვენი ცხოვრება და პოლიტიკა უკეთესობისკენ შეიცვალოს, საჭიროა ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების გააზრება. საამისოდ, უპირველესად, სურვილი და მისწრაფება უნდა გქონდეს, შემდეგ – უნარი და შესაძლებლობა. ეს რომ დაგიჯერონ, პოლიტიკურ ძალას ვგუისხმობ, საქართველოს მოსახლეობის ნდობა უნდა გაგაჩნდეს, უპირველესად; ასევე, იმათი, ვისთანაც უმძიმესი კატასტროფული პრობლემების გადაჭრაზე მოგიწევს მუშაობა და საუბარი (რუსეთს, შემდეგ კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ვგულისხმობ). გვინდა თუ არა, საკითხი ზედაპირზე დევს და პროპაგანდისტული შენიღბვა და გაქარწყლება ვეღარ უშველის. რუსეთთან ურთიერთობაზეა ყველაფერი მიბმული და მისგან მომდინარეობს. თუკი რუსეთი არ დაგელაპარაკა, არ მოგისმინა, თუკი შენი ნდობა არ აქვს, რომც დაგელაპარაკოს, წყლის ნაყვა იქნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ მიგიღებენ და მოგისმენენ აფხაზები და ოსები, დაგიჯერებენ თუ არა. შეიძლება ფორმალურად მიიღონ და გარკვეული დიალოგიც გამართონ სააკაშვილი №2-თან, მაგრამ შედეგი რა იქნება? – ეს დიალოგიც შეწყდება. ჩვენმა ე.წ. ოპოზიციამ რა გააკეთა იმისთანა, რითაც ხელისუფლებაზე თუნდაც ერთი მისხალით მაღლა დამდგარიყო? – არაფერი! მიშა ცუდია, ეს ყველამ იცის, ოპოზიციას არც ერთი პრინციპული და ხელისუფლების მიდგომებისგან განსხვავებული საკითხი არ დაუსვამს. ჩვენ ისევ ვისმენთ დემაგოგიურ ტერმინოლოგიას ნატოში შესვლაზე, ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, ამერიკულ ფასეულობებზე და ა.შ. ამიტომ დღეს ჩვენთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის და საქართველოს მომავლისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი ძალის გამოჩენა, რომელსაც შესწევს უნარი და აქვს სურვილი, პრინციპულად გაიაზროს საქართველოს სასიცოცხლო მოთხოვნილებები, პრაქტიკულად და პრაგმატულად მიუდგეს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას. ამ ძალას უნდა ენდობოდნენ და ანგარიშს უწევდნენ რუსებიც, აფხაზებიც და ოსებიც. სხვანაირად არც მოლაპარაკებები გაიმართება, არც შედეგი დადგება, ხოლო ჩვენი ტრაგიკული და კატასტროფული მდგომარეობა გაღრმავდება და იქამდე მივა, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ გვექნება.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი განცხადება, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ქ. თბილისში არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თაოსნობით თემაზე: „2008 წლის აგვისტო – ქართული სახელმწიფოს ტრაგედია: მიზეზები და შედეგები“ გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეთა

დასკვნითი განცხადება

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა, განვიხილეთ რა უკანასკნელ წლებში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებები, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური სვლები, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და მისი შემდგომი პერიოდი, მივედით დასკვნამდე, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები წლების მანძილზე მზადდებოდა ხელისუფლების მიერ. ამაზე მეტყველებს სააკაშვილის მიერ არაერთხელ გაკეთებული განცხადებები ნებისმიერი მეთოდებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე; სამხედრო ბიუჯეტის, ტექნიკისა და იარაღის შესყიდვის მუდმივი ზრდა; უცხოელ სამხედრო სპეციალისტთა საიდუმლოდ მოწვევები, ძირითადად ისრაელიდან და აშშ-დან (მოგვიანებით თვითონ ისრაელმა აღიარა მათი საქართველოში ყოფნა, ოღონდ მიუთითა, თითქოს ისინი გადამდგარი სამხედროები იყვნენ და სახელმწიფო სამსახურთან კავშირი არ ჰქონდათ); 2006 წლის ზაფხულში, თავდაცვის მინისტრად ოქრუაშვილის ყოფნის დროს, საომარი ოპერაციის მცდელობა სამხრეთ ოსეთში; ოქრუაშვილის განცხადება ცხინვალში ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით; სანაკოევის მარიონეტული ხელისუფლების შექმნა; სხვადასხვა სახის მუდმივი პროვოკაციები რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ (მათი დაკავება გამოგონილი საბაბით, ტექნიკაზე საღებავის გადასხმა, ფიზიკური შეურაცხყოფა) და ა.შ;

ანალოგიური პროვოკაციები ხორციელდებოდა აფხაზეთის მიმართულებით: კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევა, იქ სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო კონტინგენტის შეყვანა, განმუხურში ახალგაზრდული ბანაკის შექმნა, რუს მშვიდობისმყოფელებთან შეტაკებები, მათ შორის სააკაშვილის მონაწილეობითაც (კამერების წინ);

იგივეს მოწმობს სისტემატური უარი ძალის არ გამოყენების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე.

კონფლიქტების დარეგულირების სურვილის არქონაზე აშკარად მეტყველებს ისიც, რომ ამ მიმართულებით მუშაობდნენ ადამიანები, რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ აფხაზეთთან (ხაინდრავა, მალაშხია, იაკობაშვილი და სხვ.) და ამ დროს ხალხი, რომლებიც იქ დაიბადნენ, ცხოვრობდნენ, საქმიანობდნენ, აქვთ ნათესაური და მეგობრული კავშირები, დარეგულირების პროცესს არ გააკარეს.

მიმდინარეობდა გამალებული ანტირუსული პროპაგანდისტული კამპანია, შეურაცხმყოფელი გამოხტომები რუსეთის ხელმძღვანელების მისამართით;

დამკვიდრდა ქედმაღლური დამოკიდებულება აფხაზი და ოსი მხარეებისადმი, მათი ხელმძღვანელების, ისტორიისა და კულტურის სფეროს მოღვაწეების შეურაცხყოფა (მაგ. იაკობაშვილის ინტერვიუ პირველ არხზე, სადაც ის, რეინტეგრაციის მინისტრი (!), აცხადებს, რომ არ იცის და არც არავითარი სურვილი აქვს, იცოდეს ოსეთის ხელმძღვანელთა ვინაობა);

ჯიუტი დეკლარირება ნატოში შესასვლელად კურსის უცვლელობისა, რაც გამორიცხავდა რუსეთის დაინტერესებას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში და აფხაზებისა და ოსების სწრაფვას რეინტეგრაციისადმი.

ამჟამინდელი განცხადებები იმის თაობაზე, რომ სამხედრო მოქმედებები რუსეთის ინტერვენციის საპასუხოდ დაიწყო, სასაცილო და უსაფუძვლოა: სრულიად საწინააღმდეგოზე ლაპარაკობს მაშინდელი უშიშროების საბჭოს მდივნის ა. ლომაიას 8 აგვისტოს გაკეთებული განცხადება ოპერაციის დაწყების თაობაზე კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად, ასევე, გენერალ ყურაშვილის ანალოგიური განცხადება. 7 აგვისტოს ნახევარმა ქვეყანამ ნახა ცხინვალისკენ მიმავალი ჯარისკაცებით სავსე ასობით ავტომანქანა და ათეულობით სამხედრო ტექნიკა. ყველაფერი ეს დაფიქსირებულია, ცნობილია ევროკავშირის კომისიისათვის და ახლო მომავალში გამოქვეყნდება.

ძალისმიერი მეთოდებით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლო შედეგები ცნობილი იყო ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის. ამის თაობაზე არაერთხელ ითქვა საინფორმაციო საშუალებებში (პოლიტოლოგ ა. ჭაჭიასა და რ. კლიმაშვილის, აკადემიკოს ე. ჯაველიძის სტატიები და ტელეგამოსვლები, ა. ხიდირბეგიშვილის სტატიები).

რუსეთის ხელმძღვანელობამ არაერთგზის განაცხადა, რომ საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში რუსეთი ვერ დარჩებოდა მაყურებლის როლში. 2008 წლის ივლისში კ. რაისის ვიზიტს თბილისში მოჰყვა დ. მედვედევის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ, თუ საქართველო კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრას შეეცდებოდა, რუსეთი იძულებული იქნებოდა, ჩარეულიყო. ამას მოჰყვა მორიგი მოწოდება ძალის არგამოყენების თაობაზე შეთანხმების ხელმოწერის შესახებ, რომელიც კვლავ უპასუხოდ დარჩა.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას გეოპოლიტიკურად ყოველთვის არახელსაყრელად მიაჩნდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არსებობა. რუსეთისთვის ოპტიმალურ ვარიანტად რჩებოდა ერთიანი, მეგობრული საქართველო, რომლის ტერიტორიიდან რუსეთს არასდროს არ დაემუქრებოდა სამხედრო ან ტერორისტული საშიშროება. ამის დამამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების შემდეგაც ვ. პუტინმა კატეგორიული უარი თქვა, ეცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსეთი ამას არც ახლა აკეთებს დნესტრისპირეთსა და ყარაბაღთან მიმართებაში. რუსეთის ამ პოზიციის პასუხად სააკაშვილი გამუდმებით ნატოში შესვლისკენ სწრაფვაზე ლაპარაკობდა (რითაც ხაზი გადაუსვა რუსეთისათვის მისაღებ ვარიანტს – ერთიანი და მეგობრული საქართველო) და სამხედრო ძალით თავს დაესხა რუს მშვიდობისმყოფელებსა და მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის რუსეთის მოქალაქეებს.

ცხადია, რომ რუსეთის პასიურობას 2008 წლის აგვისტოში მოჰყვებოდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების სრული იმედგაცრუება რუსეთის შესაძლებლობაში – დაიცვას საკუთარი მოქალაქეები, ჩრდილოეთ კავკასიაში ანტირუსული განწყობილების და სეპარატისტული ტენდენციების აფეთქება, მასობრივი მღელვარებები, ჩრდილოკავკასიელ მოხალისეთა რაზმების გადმოსვლა აფხაზთა და ოსთა დასახმარებლად, პარტიზანული მოქმედებების გაშლა და, საბოლოო ჯამში, მასშტაბური კავკასიური ომი, რომელიც შეიწირავდა საქართველოს. ამ ომის რომელიღაცა ეტაპზე საჭირო გახდებოდა მასში დიდი სახელმწიფოების, ასევე, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების მონაწილეობაც.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი ხაზს უსვამენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყველანაირად აქეზებდა სააკაშვილს ამ ავანტიურის ჩასადენად. ამ მხრივ ჯორჯ ბუშის მარტო ერთი განცხადება რად ღირს, როცა მან რუსებს წითელი ხაზი ‘გაუვლო~ კავკასიის ქედზე და ‘აუკრძალა~ მასზე გადმობიჯება. გავიხსენოთ კ. რაისის ვიზიტი ომის წინ, მ. ბრაიზას აქტიურობა, საფრანგეთის პრეზიდენტის ნ. სარკოზის ნათქვამი, როგორ ურჩევდა ჯ. ბუში, რუსების თბილისში შესვლამდე მოსკოვში არ ჩასულიყო. უკვე 8 აგვისტოს შემდეგ თვითონ რაისი, ბრაიზა და აშშ ელჩი რუსეთში მრავალჯერ ცდილობდნენ თავის მართლებას, ამისათვის ბრაიზა მოსკოვშიც კი იყო ჩასული.

ეს ომი ამერიკისთვის ხელსაყრელი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

– მოწმდებოდა რუსეთის მზაობა, ადექვატური რეაგირება მოეხდინა მისი სტრატეგიული ინტერესების ზონაში სამხედრო ჩარევაზე;

– საქართველო „თავისუფლდებოდა“ კონფლიქტური ტერიტორიებისაგან, რომელთა არსებობა ხელს უშლიდა ნატოში მის შეყვანას. სამხრეთ ოსეთის დამორჩილების შემთხვევაში ეს მოახდენდა აფხაზეთის დაკარგვის კომპენსირებას (რაისის 2008 წლის ივლისის ვიზიტამდე სააკაშვილის მიზანი აფხაზეთი იყო, შემდეგ გადაერთვნენ სამხრეთ ოსეთზე. ეს კარგად ჩანდა 2008 წლის ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდის ინფორმაციებიდან).

– არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი ამერიკას სტრატეგიულად არ სჭირდება;

– მილსადენები იქ არ გადის, აეროდრომები ნატოს ბაზების განსათავსებლად ან ირანთან ომის შემთხვევაში საქართველოს სხვა ნაწილებში მდებარეობს, ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა სახის ექსცესების პროვოცირება კი აქედანაც შეიძლება;

– რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში კავკასიის მტრად ცხადდებოდა და მასშტაბური ინფორმაციული ომის სამიზნე ხდებოდა, ხოლო აშშ ჩაგრულთა მეგობრად და დამცველად წარმოგვიდგებოდა.

ზოგადად ამ ომის შედეგები ასეთია: ასეულობით დაღუპული, ათი ათასობით უსახლკაროდ და საარსებო სახსრების გარეშე დარჩენილი დევნილი; ქართველებმა დაკარგეს სამშობლოს ნაწილი.

დღეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მარაზმი გრძელდება:

ხელისუფლება იხტიბარს არ იტეხს, ტერიტორიების დაკარგვით დამთავრებულ ომს გამარჯვებად გვასაღებს, არ წყდება ფუჭი დაპირებები ტერიტორიების დაბრუნებაზე (ამჯერად მშვიდობიანი გზით), ისევ აშშ-ს მითიური დახმარების იმედად ყოფნა, ბაიდენის ჩამოსვლის გარშემო ატეხილი სამარცხვინო აჟიოტაჟი, ანტირუსული ისტერიის ახალი ტალღა და ა. შ. უცვლელად მუსირებს შევარდნაძე-სააკაშვილის ბოლომდე გაკოტრებული თეზისი **„დასავლეთი გვიშველის!“**. ყველასათვის ნათელია პრეზიდენტის არაჯანსაღი ფსიქიური მდგომარეობა, პოლიტიკური ელიტის, მათ შორის, ოპოზიციის დილეტანტიზმი და ინტელექტუალური არასრულფასოვნება, სახელისუფლებო საინფორმაციო საშუალებების სიცრუე და ორპირობა.

არც ერთ პოლიტიკურ ძალას სიმართლის დანახვა არ უნდა: აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი დაკარგულია და დღევანდელი პოლიტიკის გაგრძელება სხვა რეგიონებში სეპარატისტული ტენდენციების შემობრუნებით ემუქრება, საქართველოს ნგრევის პროცესი გაგრძელდება. ასეთი პროგნოზებისას ვითვალისწინებთ ფრიად დაძაბულ მდგომარეობას ჯავახეთში და ქვემო ქართლში, ასევე, თურქეთის აქტიურობას აჭარაში, ავტონომიის გარანტის სტატუსს რუსეთთან ერთად (ჩვენი მტრობის გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთს შეუძლია, გამოვიდეს ყარსის ხელშეკრულებიდან, რითაც კარს გაუღებს თურქეთს აჭარაში).

არსებული სიტუაციიდან გამოსავალს მრგვალი მაგიდის წევრები შემდეგში ვხედავთ:

– ქართულმა საზოგადოებამ უარი უნდა თქვას დამღუპველ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე, აშშ-ს მითითებების მონურად და ბრმად შესრულებაზე, უნდა გათავისუფლდეს მარიონეტული ხელისუფლებისგან;

– უნდა გავაცნობიეროთ ელემენტარული ჭეშმარიტება: საქართველოს ყველა ძირითადი პრობლემა – ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური წინსვლა, მეზობელ ხალხებთან დამოკიდებულება – პირდაპირაა დამოკიდებული რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დონესა და ხარისხზე.

– აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის სრული მოცულობით აღდგენა; მისი, როგორც დაინტერესებული მხარის, მონაწილეობა აფხაზეთთან და ოსეთთან პირდაპირ დიალოგში, ინტეგრაციის ახალი ფორმების მოსაძებნად ერთობლივი მუშაობა, ახალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროექტი ჩვენი ხალხების ერთობლივი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

– ამ ამოცანათა რეალიზაციისათვის უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს, მოიპოვოს რუსეთის ხელმძღვანელობის, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალთა ნდობა და რომელიც შეძლებს, შეიმუშაოს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების თვისებრივად ახალი სტრატეგია, დაეყრდნობა რა ისტორიულ გამოცდილებას, ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურულ თავისებურებებს.

ქ. თბილისი
2009 წლის 3 აგვისტო

ჯვარცმული პატრიარქი

ქართველი ერის გზა – ქრისტეს გზაა,
ეკლიანი გზაა,
ჯვარცმისა და გარდუვალი აღდგომისა.
ზვიად გამსახურდია,
საქართველოს პირველი პრეზიდენტი

„ნეტარია ის, ვინც ამ ქვეყნად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, სწამს და თავგანწირულად ემსახურება სიმართლეს, ამას ისახავს მოქმედება – მოღვაწეობის საფუძვლად".

ეს მარადგაუხუნარი ფრაზები სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, წმინდა ამბროსი ხელაიას (აღმსარებელს) ეკუთვნის. 29 მარტი – წმინდა ამბროსი აღმსარებლის ხსენების დღეა.

ქართველი ერისთვის თავდადებულმა პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ, წინააღმდეგობებით აღსავსე ურთულესი გზა განვლო. კომუნისტური რეჟიმის პირობებში, მას უხდებოდა ქართველი ერის ინტერესების დაცვა.

ეროვნულ-მართლმადიდებლურ რწმენაზე დამყარებული სახელმწიფო მოძღვრების იდეოლოგია წარმოადგენდა მისი ცხოვრების საზრისს. ეროვნული ცნობიერებისა და **„მცირე ერების თვითგამორკვევის უფლების"** პრინციპებიდან გამომდინარე, კათალიკოს ამბროსის ძირითადი კრედო ასეთია: ის ერთადერთი ძირითადი დებულება, რომელიც საყოველთაო ნორმად უნდა იქცეს მცირე ერების თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით, არის ძირითადი ლაიტმოტივი იმისა, რომ თითოეულმა ერმა თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც მას უნდა.

კათალიკოს ამბროსის, როგორც პატრიარქსა და ერისთვის ჯვარცმულ პიროვნებას, ღრმად სწმდა და სასურველად მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა დამყარებული უნდა ყოფილიყო ხალხის ნებისყოფაზე და ამ სურვილზე დამყარებული წეს-წყობილება მარგებელია ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის.

წამებული პატრიარქის იდეალი იყო ქრისტეს გზა, რომელიც ქართველ ერს ტაძრამდე მიიყვანდა, მაგრამ ეს გზა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ **„იყო ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდუვალი აღდგომისა"**. კათალიკოს ამბროსის, როგორც ეროვნული სულისა და ცნობიერების მქონე პატრიარქსა და სამშობლოს სიყვარულის გულანთებულ და ამავე დროს, თავდადებულ მოღვაწეს, დღენიადაგ აფიქრებდა ერის ბედი.

ერის სულიერი მამა ბატონი ამბროსი ხელაია, როგორც ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე, ერის სულიერ მამებთან – კირიონთან და კალისტრატე ცინცაძესთან ერთად, შეურიგებლად ებრძოდა თავსმოხვეულ იმპერიულ პოლიტიკას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ ურიგდებოდნენ შოვინისტი ბოლშევიკები. ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ, მოგვყავს კათალიკოს ამბროსის სიტყვიდან ერთი ციტატა, რომელიც მან წარმოთქვა სასამართლო პროცესზე. კათალიკოსი ბრძანებს: **„როდესაც გავრცელდა ხმა, რომ კავკასიაში – საქართველოში გამოცხადდა თავისუფლება, ხშირი იყო შემთხვევა, რომ მეკითხებოდნენ როგორც ქართველს, ნუთუ მართლა საქართველო გამოეყოფა იმპერიასო. ეს შეუძლებლად მიაჩნდათ, მით უფრო, რომ ადგილობრივი მოსახლეობაც ასე ფიქრობდა. საქართველოს თავისუფლება ცარიზმის იმპერიის პოლიტიკურ წრეებში, სასაციოლოდ მიაჩნდათ. საქართველოს ასახელებდნენ „აუკურუზნაია რესპუბლიკა"**-დ. ბატონის იდეაზე აღზრდილი კოლონიზატორი, ბუნებრივია მოსურნე იყო ბატონობისა და თანასწორობის წარმოდგენაც კი არ სურდა.

1917 წელს, რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელწოდებით არის ცნობილი. რუსეთში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და საქართველო დამოუკიდებლად გამოაცხადეს. შეიქმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელმაც 2 წელი და 9 თვე იარსება.

კომუნისტურმა რუსეთმა და ქართველმა კომუნისტებმა, რომლებსაც სურდათ საქართველო შესულიყო დიდი რუსეთის ფარგლებში, 1921 წლის 25 თებერვალს, მოახდინეს საქართველოს გასაბჭოება.

მრავალ ჭირგამოვლილი ქართველი ერი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვას. ერის სულიერმა მოძღვარმა და კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ მყისვე ხმა აღიმაღლა კომუნისტური თვითმმართველობის, როგორც დამპყრობლის წინააღმდეგ.

კათალიკოსმა ამბროსიმ გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ 29 სახელმწიფოს წარმომადგენლები, გაუგზავნა მემორანდუმი და საბჭოთა ხელისუფლება, როგორც დამპყრობელი და აგრესორი, ძალმომრეობაში ამხილა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის გაწნული სილა. ამის გამო, იგი რამდენიმე სასულიერო მოღვაწესთან ერთად დაატუსაღეს და დიდი ხნით პატიმრობა მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან მხოლოდ 3 თვე იცოცხლა.

კათალიკოსმა ამბროსიმ მთელი თავისი 37-წლიანი სამსახური საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მოანდომა, ორჯერ განიცადა სამშობლოდან ექსორიობა. მან პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა ერის წინაშე.

მისი უკვდავი სიტყვები ჩეკისტ-ჯალათების წინააღმდეგ ასეთია: **„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული – საქართველოს, ლეში კი თქვენ გქონდეთ ჯალათებო".**

ქართველი ერის სინდის-ნამუსმა და წმინდანმა კათალიკოსმა ამბროსი აღმსარებელმა თავისი წარუშლელი კვალი დასტოვა საქართველოს ისტორიაში.

წმინდა ამბროსი აღმსარებელი, რომელიც თავგანწირულად ემსახურა სიმართლეს თავისი ბედკრული სამშობლოსათვის, ერის ცნობიერებას შემორჩა, როგორც სიმბოლო, საქართველოსთვის თავადებულ გმირებთან – ცოტნეს, დიმიტრისა და თეოდორესთან ერთად.

ქრისტიანული სწავლა-მოძღვრებით ღრმად განსწავლულმა ამბროსიმ სასამართლო პროცესზე შემდეგი ბრძანა: **„კაცი ღვთისაგან თავის სახედ და მსგავსად შექმნილია. ღვთის სახება და მსგავსება აღბეჭდილია მის სულიერ თვისებებში, რომელთა შორის უმთავრესი თვისებაა თავისუფლება. პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ჩვენ წოდებულ ვართ თავისუფლებისათვის. ქრისტემ მოგვანიჭა ეს თავისუფლება და მტკიცედ უნდა შევინახოთ იგი. ერთხელ განთავისუფლებულმა ერმა არ უნდა დავიდგათ მონობის უღელი".**

საქართველოს თავისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის თავდადებულ პატრიარქს სასამართლომ 7 წლით, 9 თვითა და 28 დღით პატიმრობა მიუსაჯა და ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც მძიმედ დაავადდა. შემდეგ იგი ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლებულ იქნა.

მეტეხის ციხიდან რომ გაანთავისუფლეს, ძალიან მძიმედ იყო, თირკმელები ჰქონდა დაზიანებული. მთელმა თბილისმა გაიგო, რომ ციხიდან გამოსული პატრიარქი სიონში რომ მიდიოდა. რომდესაც ამბროსი სიონში შევიდა, ტაძარი ხალხს ვეღარ იტევდა. მრევლი მუხლმოდრეკილი და დამხობილი შეხვდა თავის პატრიარქს.

სიონში შესულ პატრიარქს ამდენი ხალხი რომ დაუნახავს, ხელები ზემოთ აღუპყრია და უთქვამს: **„მადლობა უფალს, საქართველო არ მომკვდარა".**

ერისთვის თავდადებული და წამებული ჯვარცმული პატრიარქის მოღვაწეობა, მისი მოწამეობრივი სიკვდილი, ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს თითოეულ ქართველს თავისი სამშობლო. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამბროსი ხელაიას სახელი, აღმსარებელისა და წამებულის, საქართველოს ისტორიას შემორჩა, **„persona gratissima"**-დ – ყველაზე სასურველ პიროვნებად.

ამბროსი ფაილოძე

გივი ელიავა – მარტვილის საეკლესიო საგანძურის ჭირისუფალი

ძნელია ბატონ გივიზე რამე ახალი დაწერო, რადგან მის მოღვაწეობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა... ვიცი, ბევრიც დაიწერება...

უკმარისობის გრძნობა მაინც არ მასვენებს და თან მდევს... მისი მოღვაწეობა კი მართლაც მრავალმხრივი იყო: არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ლექსიკოლოგიური კვლევა, უმდიდრესი ფონდი, ძველ კოლხური ვაზის ჯიშთა საკოლექციო ნაკვეთი...

და ეს ერთი კაცის კვალობაზე...

მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს ბატონი გივი, როგორც ჭეშმარიტი მორწმუნე და აღმსარებელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მარტვილის სასულიერო ცხოვრებაში.

სოლომონ ბრძენი ბრძანებდა: **„ყოველივეს თავისი დრო და ყველაფერს თავისი ჟამი აქვს ამ ცისქვეშეთში... ჟამი ქვათა გაფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა, ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა..."**

და იდგა ჟამი ქვათა გაფანტვისა...

70-წლიანმა საბჭოთა პერიოდმა ქართულ სულიერებას უფრო მწარედ ჩასცა მახვილი, ვიდრე ათასმა გადამთიელმა და მომხვდურმა. მაშინ ბევრი სიწმინდე განადგურდა და დაიკარგა, ზოგიც გაიყიდა. ტაძრები, სადაც ოდესღაც ქართველი ერი აღავლენდა საერთო სულის წირვას, წვიმის და ქარის სათარეშოდ იყო ქცეული. განადგურებას გადარჩენილი სიწმინდეები კი დია ცის ქვეშ უპატრონოდ ეყარა, როგორც ყოვლად ურგები და დრომოჭმული...

მაგრამ მოვიდა ჟამი ქვათა შეგროვებისა...

და დადიოდა მარტვილში (და არა მარტო მარტვილში) სამეგრელოს ამ დალოცვილ მიწაზე **„უკვდავი ჭყონდიდის მეციხოვნე"**, ბატონი გივი ელიავა და დიდი რუდუნებითა და სიყვარულით აგროვებდა ყოველ სასწაულით გადარჩენილ სიწმინდეს. ასე გადაარჩინა მან უძველესი ხატები, ჯვრები, საეკლესიო წიგნები, ღვთისმსახურებისთვის აუცილებელი საჭირო ნივთები, რომლებსაც შემდგომ მუზეუმში დაუდო ბინა.

ბატონი გივის ღვაწლი ამ მხრივ ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. მან მუზეუმის ერთ ოთახში მოაწყო სამლოცველო, სადაც დააბრძანა უძველესი ხატები, ფრესკები მარტვილის მონასტრიდან. სამლოცველოში შესული ყოველი სიწმინდის წინ პირჯვარს გადაიწერდა და მოწიწებით ეამბორებოდა მათ.

მახსოვს, ერთ-ერთი ექსპედიციის დროს, ტყეში, ჩამონგრეულ, მხოლოდ საძირკველშერჩენილ ეკლესიასთან, ოთხკუთხედი ქვა ვიპოვეთ, სადაც ულამაზესი ჯვარი იყო ამოკვეთილი. ბატონი გივი დაიჩოქა, პირჯვარი გადაიწერა, ეამბორა, შემდგომ სათუთად გულში ჩაიკრა და მანქანისკენ გაემართა. ჩემს კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა ეკლესიის ეზოდან ამ ჯვრის წამოღება, მიპასუხა: **„ახლა უპატრონოდ, წვიმასა და ქარში გდია. მჯერა, მოვა დრო, როცა პატრონი გამოუჩნდება და მეც მოვლილს ჩავაბარებო".** სულკურთხეულს არ დასცალდა იმ ჯვარის დაბრუნება, მაგრამ ღირსეული პაპის ვალი მისმა ღირსეულმა შთამომავლობამ აღასრულა. ბატონმა გია ელიავამ ჯვარი აწ უკვე განახლებულ თამაკონის ეკლესიას დაუბრუნა.

მადლიერ ქართველ ერს მუდამ ემახსოვრება ექვთიმე თაყაიშვილი, ჩვენი ეროვნული საგანძურის ჭირისუფალი და მცველი. თვითონ უპოვარი, როგორი რუდუნებით დაჰკანკალებდა თითოეულ ნივთს, რომ პირნათლად წარმდგარიყო ქართველი ხალხისა და უზენაესის წინაშე. ბატონი გივის ცხოვრება და მოღვაწეობა მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ იგი სამეგრელოს, კერძოდ, მარტვილის საგანძურის ჭირისუფალი და მცველი იყო.

ყველას გვახსოვს 90-იანი წლები. იმ ავადსახსენებელ დროს, როცა ვითომ აფხაზეთს ვებრძოდით, როდესაც ძნელი იყო გაგვერჩია ვინ იყო მტერი და ვინ მოყვარე, ერის სულიერი საგანძური რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაშინ ბომბიც კი დაუშინეს მარტვილის მუზეუმს, მაგრამ ღვთის შეწევნით გივიმ, სანამ ეს ძმათამკვლელი ომი დაიწყებოდა, მოასწრო და ყველაზე ძვირფასი ექსპონატები, რომლებსაც შეეძლოთ მავანთა ინტერესი გამოეწვია, საგულდაგულოდ, საიმედოდ გადამალა. აი, როგორ იხსენებს იმ დღეებს ყველასათვის საყვარელი, ჭეშმარიტად სახალხო მწერალი ოტია იოსელიანი:

„მუზეუმში დავირბინე დარბაზები, სამლოცველო...

– ბატონო გივი, აქ რომ ძვირფასი ხატი იყო? – შევაჩერდი კედელზე ცარიელ ადგილს.

გივი ღიმილით მიქნევს თავს.

– ბატონი გივი, აქ რომ უძველესი ჭედური ფრაგმენტი გვეკიდა? აქ რომ მხატვრობა გვქონდა?! ვინ დაგვღუპა?!

რასაც თვალი დაუდგებოდა, რაც მუზეუმის ღირსება იყო, სიმდიდრე იყო, არაფერია...

გივი მხარზე ხელს მხვევს... მეჩურჩულება:

– ყველაფერი აქ არის!

– ყველაფერი?

– ყველაფერი!

– ამ არეულ-დარეულ დალიანდაგებულ ქვეყანაში, ამდენ შინაურ მტერს და ყაჩაღს... გაუძარცვავი რომ არაფერი და არავინ დატოვეს, ყველაფერი გადაარჩინე?

– ყველაფერი!"

შეუძლებელია, არ შეგძრას დიდი მწერლის ამ მცირე მოგონებამ; როგორი თავგანწირვა, საქმის სიყვარული და სულიერება იგრძნობა ბატონი გივის ამ ლაკონურ, მაგრამ ყოვლისმომცველ სიტყვაში. მართლაც, როცა საშიშროებამ გაიარა, მარტვილის საგანძურის ჭეშმარიტმა ჭირისუფალმა, ყველაფერი უკლებლივ, თავის ადგილს დააბრძანა.

ბატონმა გივიმ, მართალია, ახალგაზრდობა ათეისტურ გარემოში გაატარა, მაგრამ როგორც კი მარტვილის მონასტერში აღსდგა ღვთისმსახურება, ამ ადამიანმა ეკლესიას მიაშურა. მისი სულიერი მოძღვარი, დეკანოზი გოჩა (ცაავა) გახლდათ. მოძღვრის კურთხევით და, რა თქმა უნდა, ბატონი გივის დიდი სიყვარულით, მარტვილის მონასტერს გადაეცა 1823 წლით დათარიღებული სახარება, აგრეთვე სპილენძის ემბაზი, რომელიც ამჟამად საელიავოს დედათა მონასტერშია. აღსანიშნავია ისიც, რომ სალხინოს ეკლესიასა და მარტვილის მონასტერისთვის ზარების გადაცემა მისი თაოსნობით მოხდა.

ბატონმა გივი ელიავამ 82 წელი იცოცხლა...

სიცოცხლის ბოლო ხუთი წელი აღმსარებელი და მაზიარებელი იყო... სიკვდილამდე ერთი მეტად მნიშვნელოვანი, საშვილოშვილო საქმის გაკეთებაც მოასწრო...

2000 წ. მაისში, თბილისში, 164-ე საშუალო სკოლისთვის გიორგი ჭყონდიდელის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე ბატონმა გივიმ სიტყვა წარმოსთქვა. მის ემოციურად გამოთქმულ სიტყვებში პირველად გაიჟღერა თხოვნამ საქართველოს მწყემსთათვის მიმართ, რომ დიდი დავით აღმაშენებლის მოძღვარი შერაცხულიყო წმინდანთა დასში. ამ ზეიმს ესწრებოდა უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც დაჰპირდა დამსწრე საზოგადოებას, რომ ამ საკითხს გარკვეულ დროში გადაწყვეტდა. ბატონი გივის სანუკვარი სურვილი მისი სიკვდილის შემდგომ აღსრულდა. 2005 წელს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით გიორგი ჭყონდიდელი წმინდანად შეირაცხა და ხსენების დღედ 25 სექტემბერი დაწესდა.

ახლოვდებოდა ჟამი მოკვდინებისა...

სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე, დიდ ხუთშაბათს, გარიჟრაჟზე, ფიზიკურად დაუძლურებული, მაგრამ სულიერად ამაღლებული ფეხით აუყვა მონასტრის გზას. დაესწრო ხანგრძლივ ლოცვებს, ეზიარა და სულ ცოტა ხანში, ბრწყინვალე შვიდეულში, უფალს ვალმოხდილმა მიაბარა სული. ეკლესიურად, ბრწყინვალე შვიდეულში მიცვლილი მორწმუნე ადამიანისთვის, ვინც ცდილობდა ეცხოვრა ღვთის კანონებით, ცათა სასუფეველი ღიაა.

თავის ერთ-ერთი კრებულის ბოლოთქმაში წერდა: **„ღმერთს მადლიერებას ვწირავ, ასე შორი და მძიმე განსაცდელებით სავსე გზით მატარა და არ დამკლებია მისი თვალი და ყური... ვიცი და გულსა მტკივა, რომ მეტი ვერ შევძელი, თუმცა გული არ დამიკლია. ვიყავი უფლისმიერი მდაბალი და მის სახელს ვენაცვალე. ასევე დავრჩები მანამ, სანამ ღმერთი არ გამიწვევს თავის სასუფეველში. ეს კია, არ მრცხვენია, შევხედო ჩვენს უფალს და განსჯის დროს ვთხოვო: „შემიწყალე იესო ჩემო".**

ჭეშმარიტად, ბატონი გივი!

ლეილა დანელია,
მუზეუმის მეცნიერმუშაკი

გ ა რ ი ნ ჩ ა
(უდიდესი ხეიბარი)

გარინჩა – მანუელ ფრანსისკო დოს სანტოსი დაიბადა 1933 წლის 23 მარტს ბრაზილიაში. იგი დარიბი ოჯახის მეოთხე შვილი იყო. შემდეგ, როცა დიდ ფრხბურთში შეაბიჯა, გარინჩა სხვადასხვა დროს თამაშობდა გუნდებში **“პაუ გრანდე”, “ბოტაფოგო”, “კორინტიასი”** (ბრაზილია), **“AX ბარანკილია”** (კოლუმბია), **“რედ სტარი”** (პარიზი, საფრანგეთი). გარინჩა ბრაზილიის საფეხბურთო მწვერვალზე მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოჩნდა პელესთან ერთად. 49 წლის სიცოცხლის განმავლობაში, რაც მას ღმერთმა უბოძა, ბევრი ბედნიერებისა და უბედურების გადატანა მოუწია. დღეს ბრაზილიაში, მის საფლავზე დგას თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი ვეებერთელა ძეგლი, რომელსაც აწერია: **“აქ მშვიდად განისვენებს ის, ვინც იყო მთელი ერისათვის დიდი სიხარულის მომტანი. 23.101933 – 20.01.1983წ.წ.”**

მანე გარინჩა დაიბადა პაუგრანდეში, ბრაზილიის ერთ-ერთ მიყრუებულ პროვინციაში, რომელიც გაუვალი ჯუნგლების მეზობლად მდებარეობდა. მისი ოჯახი, როგორც ბრაზილიელთა უმეტესობა, ღარიბი იყო, ამიტომ, გარინჩა მცირეწლოვნობიდან მძიმე ფიზიკური შრომით ირჩენდა თავს. მომავალი დიდი ფეხბურთელის უბედურებას ამძიმებდა ისიც, რომ დაბადებიდანვე ფიზიკური დეფექტი დაჰყვა და მოგვიანებით ვერც ქირურგიულმა ჩარევამ უშველა – ერთი ფეხი მეორეზე 5 სანტიმეტრით მოკლე ჰქონდა. მიუხედავად ამგვარი ანგარიშგასაწევი ნაკლისა, იგი გაგიჟებით იყო შეყვარებული ფეხბურთზე.

ერთ-ერთი თამაშის დროს იგი შეამჩნია **“ბოტაფოგოს”** თავდამსხმელმა ნილსონ დადამ, რომელმაც საკუთარი მანქანით წაიყვანა კლუბში გარინჩა, მაგრამ **“ბოტაფოგოს”** მთავარმა მწვრთნელმა ჯენტილი გარდოსმა კოჭლი ყმაწვილი არ მიიღო. ერთადერთი, რაც მან გადაწყვიტა, იყო ის, რომ დააკვირდა ამ უცნაური ინვალიდი ბავშვის ვარჯიშს და... გაოცებული დარჩა იმით, თუ როგორ ჩაუქროლა მან მეტეორივით თვით დიდ ნილტონ სანტოსს, კიდევ ორი მცველი მოატყუა სასწაულებრივად შესრულებული ფინტით და ბურთი ბადეში გაახვია. სწორედ მაშინ გადაწყდა გარინჩას ბედი და დაიწყო დიდი ტურნე მსოფლიოს უდიდეს სტადიონებზე.

1958 წელს ბრაზილიის ნაკრები პირველად გახდა შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონი. გარინჩამ ამ ჩემპიონატში მხოლოდ ოთხ მატჩში ითამაშა და გოლი არ გაუტანია, მაგრამ მისი საგოლე პასები ყოველთვის წარმატებით გვირგვინდებოდა. ოთხი წლის შემდეგ, 1962 წელს, ჩილეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრაზილიელები კვლავ მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, სადაც გარინჩამ 4 გოლი გაიტანა.

ვერცერთი მცველი ვერასდროს განჭვრეტდა გარინჩას ჩანაფიქრს, როცა იგი მარჯვენა ფლანგიდან შეტევას იწყებდა. კოჭლობით დაძრული ფეხბურთელი თავშივე აბნევდა მცველებს, როცა ბურთს მარჯვნივ გაიგდებდა, თავად კი მარცხნივ გარბოდა. შემდეგ ბურთისა და ფეხბურთელის პოზიციების წამის მეასედებში იცვლებოდა და ახლა ბურთი მიგორავდა მარცხნივ, გარინჩა კი მარჯვნივ და ვიდრე მოწინააღმდეგე ფეხბურთელი წონასწორობას აღიდგენდა, კვლავ იცვლებოდა გარინჩასა და ბურთის მდგომარეობა, და ასე გრძელდებოდა, ვიდრე წონასწორობადაკარგული მცველი მოედანზე გაიშხლართებოდა, გარინჩა კი მეტეორივით მიჰქროდა უზომოდ შეშინებული მეკარისაკენ. იშვიათად ნახავდით ასეთი იმპროვიზაციის ნიჭით დაჯილდოებულ ფეხბურთელს, რომელსაც შეეძლო წამის მეათედებში მოეტყუებინა მის წინ აღმართული მოწინააღმდეგის 4-5 ფეხბურთელი და საგოლე პასი ჩაეწოდებინა.

პირად ცხოვრებაში გარინჩა ძალზე ხელგაშლილი იყო და ათასობით კრუზეიროს ურიგებდა უანგაროდ საკუთარ მეგობრებსა და სხვა ეკონომიკურად გაჭირვებულ ადამიანებს. 1969 წელს მას უბედურება დაატყდა თავს – ავტომანქანის საჭესთან მჯდომი ავტოავარიაში მოჰყვა, რომლის შედეგად დაიღუპა მისი მეორე მეუღლის დედა, რისთვისაც მას ორი წელი პატიმრობა შეუფარდეს, რომელიც შემდეგ პირობითი სასჯელით შეიცვალა.

გარინჩა ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემრიონი – 1958 და 1962 წლებში. თავისი სპორტული კარიერის საუკეთესო წლები მან **“ბოტაფოგოში”** გაატარა, სადაც 579 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 249 გოლი გაიტანა. ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში კი მან ჩაატარა 57 მატჩი და გაიტანა 15 გოლი.

1983 წელს მის სიცოცხლეში ბოლო ზარმა ჩამოჰკრა – 20 იანვარს იგი ღარიბთა თავშესაფარის საავადმყოფოში დილის ექვს საათზე, ძილში გარდაიცვალა. მისმა საუკეთესო მეგობარმა, ყველა დროის უდიდესმა მცველმა ნილტონ სანტოსმა განაცხადა: **“მანე მთელი ცხოვრება იყო ბავშვივით და უყვარდა მხოლოდ ერთადერთი სათამაშო – ფეხბურთი”.** გარინჩას მთელი ბრაზილია **“ერის სიხარულს“** უწოდებდა, მაგრამ მისი ცხოვრების მეორე ნახევარი მისთვის სრულიადაც არ იყო სასიხარულო. გარინჩამ 12 წელი გაატარა **“ბოტაფოგოში”**, საიდანაც იგი **“კორინტიასში”** გადავიდა. აქ მას აშკარად არ წაუვიდა საქმეები კარგად. წარუმატებლობას წარუმატებლობა ემატებოდა და დაიწყო მისი დაღმასვლის წლები. იგი სასმელებს ეძალებოდა და უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ექვსჯერ მოხვდა კლინიკაში ალკოჰოლიზმის მწვავე ფორმის დიაგნოზით. ამან საბოლოოდ შეარყია ერთ დროს მსოფლიოს უდიდესი ფეხბურთელი ჯანმრთელობა. გარინჩას ცხოვრება საკმაოდ შორს იდგა იდეალიზმისაგან, ამიტომ, სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან საშინელ სიღარიბესა და მარტოობაში გაატარა. ეს უდიდესი ფეხბურთელი 49 წლის ასაკში გარდაიცვალა, და რომ არა მისი აწეწილი ცხოვრება, გარინჩას კიდევ უამრავი სიკეთის მოტანა შეეძლო მსოფლიო ფეხბურთისათვის.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

– უკანასკნელად გეკითხები, როდის დამიბრუნებ ვალს?

– ვაააა! როგორ გამახარე, რომ ამ მომაბეზრებელ შეკითხვას უკანასკნელად მისვამ!

* * *

ქობულეთელ ბავშვს ეკითხებიან, რომ გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდეო.

– მდგმური! – უპასუხა ბავშვმა.

* * *

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

– მამაშენი რა პროფესიისაა?

– მხატვარი. ხატავს და ხატავს.

– დედაშენი?

– მკითხავი. კითხულობს და კითხულობს.

* * *

გოგო წევს ლოგინში:

– გიო, სიგარეტი მომე. არ გაქვს? კაი, მაშინ, ავთო, შენ მომეცი. ირაკლი, მომიკიდე. აუ, არა გაქვს? ოთარ, შენ მომიკიდე “ზაჟიგალკით”!.. ვაიმე, დედაჩემმა რომ გაიგოს, რომ ვეწევი, ნამდვილად მომკლავს...

სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას “ეფრემ ვერდის” წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

– **ვარდი ნახო** – კარგია, სიხარულის და შვების ნიშანია;
– **ვარდის დაკრეფა** – ცუდია, აგრეთვე შინ შეტანაც არ ვარგა;
– **ვაშლის ხე ნახო** – დიდსა და სახელოვან ვინმეს დაინახავ;
– **ვაშლის ჭამა** – კარგია და გამარჯვების ყოფნას მოასწავებს;
– **ვაშლი ფერშეცვლილი ნახო** – ავ რაიმე საქმეს ნიშნავს;
– **ვარსკვლავის ნახვა** – ძალიან კარგია და სიხარულია;
– **ზღვა ნახო აღელვებული** – ცუდია და არეული შფოთებია;
– **ზღვაში ბანაობა** – კარგია, გულის საწადელი აგისრულდეს;
– **ზარი ჩამოვარდნილი ნახო** – ცუდი და განსაცდელის ნიშანია;
– **ზარის ხმა** – სიხარულისა და ახალი რაიმე ამბავის ნიშანია;
– **ზაქის ხორცის ჭამა** – მეტად ცუდია და ავადმყოფობის ნიშანია;
– **ზაქი რომ ნახო** – დიდსა და სახელოვან ვინმეს გაიცნობ.

ჯაბა ზაზაძე

გარდაიცვალა გაზეთ **“ილორის”** დიდი გულშემატკივარი და პოპულარიზატორი ჯავახეთის რეგიონში, ჩვენი დიდი მეგობარი, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** თანამდგომი და მხარდამჭერი სამცხე-ჯავახეთში, ცნობილი ქართველი არქეოლოგი, ახალგაზრდა მეცნიერი **ჯაბა ზაზაძე.** 31 წლის ასაკში დავკარგეთ ადამიანი, რომელიც მტკიცედ იცავდა ქართულ სულს უცხო ტომებით დასახლებულ ამ ძირძველ ქართულ მიწაზე და რომელიც უანგაროდ გვეხმარებოდა მხარეში მცხოვრებ ლტოლვილებსა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას შორის ჩვენი გაზეთის გავრცელებაში.

ჩვენო ზაზა, სამწუხაროდ, უშენოდ ესტუმრება ხოლმე **„ილორი“** – თმოგვს, ვარძიას, ვანის ქვაბებს, ხერთვისს, კუმურდოს...

გვახსენდება, კამათში თეთრად გათენებული ღამე. თმოგვის ციხე – შენი სახლის აივნიდან, მთვარიან ღამეს ხელისგულზე დადებულივით რომ მოჩანდა... თვალწინ გვიდგას შენი მონაყოლი – **„მხოლოდ ერთხელ დაიპყრესო თმოგვის მიუვალი ციხე და ისიც გამცემლობით მოხდაო... შაჰ-თამაზს მოწონებია ტყვედ ჩავარდნილი, მამაცი ქართველი მეციხოვნე და ბოლო სურვილის ნება დართო – ამხედრებულიყო თავის ცხენზე და ციხის ეზოში გაენავარდა უკანასკნელად...“** თითქოს ახლაც ჩაგვესმის ბედაურის ფლოქვების მძიმე თქარუნი და თვალწინ გაიელვებს ქარაფზე გადაფრენილი ცხენ-მხედარი, როგორც შენ გიყვარდა თქმა: **„ძველი თოკი აწყვიტა და...“** უსასრულობაში გადაეშვაო!..

დარდს და საფიქრალს რა გამოულევს ქართველ კაცს, მითუმეტეს სამცხე-ჯავახეთში, სადაც, იობის მოთმინება უნდა გქონდეს უცხოსთან ერთად ქართველის შემოტევისგანაც რომ დაიცვა, როგორც წარსული ასევე ლახვარჩაცემული დღევანდელობა!..

გვახსოვს, ჩვენი ბოლო შეხვედრისას აღფრთოვანებული ყვებოდი ცაიშის არქეოლოგიურ გათხრებზე – **„ჯერ სად არის, გული მიგრძნობს საოცრებებს შემოგვთავაზებს იქაურობა, კოლხეთი უზარმაზარ საიდუმლოს ინახავს, რომელიც მალე მსოფლიო ისტორიას გადაატრიალებსო!..“**

ბავშვივით გიხაროდა, ნათქვამს უსიტყვოდ რომ გიდასტურებდით... სტუდენტური, არქეოლოგიური ექსპედიციების გაცვლაზე ვსაუბრობდით სამეგრელოსა და ჯავახეთს შორის... სწორედ მაშინ დავგეგმეთ ამ შემოდგომაზე გაზეთ **„ილორის“** ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში.

უამრავი დაწყებული მამულიშვილური საქმე დაგრჩა დაუმთავრებელი, ეკლესია-მონასტრები, ციხე კოშკები თითქოს სევდამორეულები დგანან შენს მოლოდინში...

სულის სიმშვიდეს და ნათელში ყოფნას გისურვებთ იმქვეყნიურ საქართველოში!

გაზეთი “ილორი”
ასოციაცია „ჯავახეთი“

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ.№01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი	anaklia@web.de e-mail:elisabetthal@yahoo.de რეკლამის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97